



NEWS

დეკლარაციის მსურველთა მისიჯები ამომრჩევლებს

გიორგი ბირკაძე
გურია ნიუსი

წინასწარჩევნო სამზადისი ფინიშს უახლოვდება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამარჯვებისთვის ამ ეტაპზე ექვსი კანდიდატი იბრძვის. მანამდე კი რვა კანდიდატი იყო – "ქართული დასის" კანდიდატმა "ქართული ოცნების" სასარგებლოდ მოხსნა კანდიდატურა, ხოლო "მერაბ კოსტავას საზოგადოების" კანდიდატმა ემზარ მახარაძემ ჩვენთან სატელეფონო საუბრის დროს თქვა, რომ მან 26 სექტემბერს შეიტანა განცხადება, კანდიდატურის მოხსნის შესახებ. აქედან გამომდინარე, 1 ოქტომბერს ამომრჩევლებს ექვსი კანდიდატიდან მოუწევს ერთის არჩევა – რამაზ ნიკოლაიშვილი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს"; ზვიად კვაჭანტირაძე, "ზიხინა ივანიშვილი – ქართული ოცნება"; კახა ბურჯულიანი, "კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო"; კახაბერ ლლონტი, "გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება"; ლევან კალანდიაძე "ახალი მემარჯვებულები"; დავით მამალაძე, "შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია".

"გურია ნიუსი" ექვსივე კანდიდატს დაუკავშირდა და ერთი კითხვით მიმართა – რატომ უნდა მისცეს ხმა მას ამომრჩეველმა 1 ოქტომბერს.

რამაზ ნიკოლაიშვილს, წლების განმავლობაში მალაღობი თანამდებობები ეკავა, იყო გურიის გუბერნატორი, ბოლოს ის რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი იყო. სწორედ მაშინ, როდესაც ის მინისტრობდა, ამბობდა, რომ პარლამენტის არჩევნებში არ მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ 1 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ

სააკაშვილმა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოზურგეთის მაჟორიტარი-დეპუტატობის კანდიდატად წარადგინა.

– რამაზ ნიკოლაიშვილმა თავისი წარსულით დაამტკიცა, რომ არის ძალიან თავდადებული ადამიანი, უშრომია მთელი თავდადებით და მთელი გულწრფელობით თავისი ქვეყნისთვის და არასოდეს, არც ერთ მომენტ-

არჩევნები 2012

ში არ მიუტოვებია გურია, ცხოვრების არც ერთ ეტაპზე და ეს ამომრჩეველმა კარგად იცის. რამაზ ნიკოლაიშვილს აქვს თავისი ბეგრანული ცხოვრებისა, რომელიც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ყველა უნდა ენდოს სწორედ ამ ადამიანს. ოზურგეთელ ამომრჩევლებს, სწორედ ვიცით, ყველაზე მეტი იმედი რამაზ ნიკოლაიშვილის აქვს და დარწმუნებული ვარ, წარმატებას მიიღწევს, – გვითხრა მაია სისხარულიძემ, რომელიც რამაზ ნიკოლაიშვილის შტაბის მედიაციენტის წარმომადგენელია.

ზვიად კვაჭანტირაძე, 5 წლის განმავლობაში იყო საქართველოს გენერალური კონსული ქ. სტამბულში. აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის უმაღლესი დიპლომატიური რანგი. პოლიტიკური პარტიების წევრი არ ყოფილა. 2009 წლიდან ოპოზიციის აქტიური მხარდამჭერია. 2012 წლიდან არის პოლიტიკური პარტიის "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" დამფუძნებელი წევრი. ზვიად კვაჭანტირაძე: – ოზურგეთის და

ოზურგეთელებს ძირფსვიანად ოზურგეთელი, ასპროცენტთანად საკუთარი მაჟორიტარი უნდა ჰყავდეს პარლამენტში. მე, ზვიად კვაჭანტირაძეს, ბიძინა ივანიშვილისა და ქართული ოცნების მიერ წარმოდგენილ კანდიდატს, ყველაზე მეტად შემეძლია ავიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა ჩემი მშობლიური ხალხის წინაშე, ყველაზე მეტად შემეშინებდა ძალა და უნარი, განათლება, გამოცდილება და რაც მთავარია, ყველაგან ყველსხვაგვით, ახალ პარლამენტში ყველა პოლიტიკური რესურსი მექნება, რომ ჩემი ოზურგეთის სწრაფ აღორძინებას მაქსიმალურად შევეწყო ხელი. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში ოზურგეთში არ დარჩეს არც ერთი ოჯახი, სადაც არ იქნება, მინიმუმ, ერთი დასაქმებული მანქანა. დასაქმება გახდება პრიორიტეტი პრიორიტეტებს შორის.

2013 წელი იქნება უდიდესი გარდატეხის წელიწადი. ვიქნები თითოეული

▶-2

"კანონიერი ქურდები", "ქართული ოცნება" და უხსლოები, როგორც უსს-მ დაუშვა

ნატო გომბელია
გურია ნიუსი

ოთხშაბათს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სატელეფონო საუბრების ჩანაწერები გაავრცელა, სადაც კახი კალაძე და გუბაზ სანიკიძე ფიგურირებენ.

ამასთან დაკავშირებით, სამინისტროში სპეციალური ბრიფინგი გამართეს და აღნიშნეს, რომ "სამართალდამცველებმა, 23 სექტემბერს, თბილისში დააკავეს "კანონიერი ქურდი" დავით ხიზანიშვილი, რომელიც ასევე "კანონიერი ქურდის", ლაშა შუმანაშვილის დავალებით მოქმედებდა და მის მიზანს წარმოადგენდა დანაშაულებრივი დაჯგუფების მეშვეობით ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზენოლა მოეხდინა ამომრჩეველზე ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ". შსს-ს ცნობით, კიდევ ერთი ჩანაწერი "ქართული ოცნების" სიის პირველ ნომერს, კახი კალაძეს ეხება: "ჩვენ წარმოგიდგენთ შსს-ს ლონისიძეების შედეგად მოპოვებულ აუდიოჩანაწერებს, სადაც ვლინდება კალაძის ახლო კავშირები უცხოეთში მყოფ 8 ქართველ კანონიერ ქურდთან", – აღნიშნეს სამინისტროს. კიდევ ერთი წარმოდგენილი ჩანა-



ლევან რევიშვილი

წერი "ქართული ოცნების" ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატ გუბაზ სანიკიძის ეხება, რომელიც ედუარდ შევარდნაძის დროის უშიშროების მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას ესაუბრება და ერთ-ერთი "კანონიერი ქურდის" ციხიდან გამოშვების

სანაცვლოდ ფულად ანაზღაურებას სთავაზობს.

კახა კალაძისა და გუბაზ სანიკიძის აუდიოჩანაწერების გარდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა სხვა ჩანაწერებიც, რომელიც შსს-ის მტ-

▶-3

2 000 ჯარიმა – აქსიაში მონანილოებისთვის

გიორგი ბირკაძე
გურია ნიუსი

მოსამართლე ლევან ნუცუბიძემ 60/41 ნატანების საარჩევნო უბნის კომისიის წევრს "მრეწველებიდან" ამირან ბაქანიძეს 2 000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. ამ გადაწყვეტილებას თავად ამირან ბაქანიძე აპროტესტებს და ამბობს, რომ მას არანაირი პოლიტიკური განცხადება არ გაუკეთებია.

როგორც ცნობილია, ამირან ბაქანიძემ მონანილოება მიიღო ნატანებში, 19 სექტემბერს გამართულ სოლიდარობის აქციაში. მის წინააღმდეგ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი თინათინ სარიშვილი გამოვიდა და განაცხადა, რომ ამით საარჩევნო კოდექსის 79-ე მუხლი დაირღვა.

▶-2

ახალი ფარული ჩანაწერი სააკაშვილის მონანილოებით

ნატო გომბელია
გურია ნიუსი

გუშინ, იუთუბზე გავრცელდა ახალი ფარული ვიდეო ჩანაწერი. კადრები, სავარაუდოდ, ვარდების რევოლუციიდან მალევეა გადაღებული. რამდენიმე ჩანაწერი, რომელიც სხვადასხვა ადგილზე არის გადაღებული, კარგად ჩანს მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა.

ერთ-ერთ ჩანაწერში, პატარაკაციშვილი ვანო მერაბიშვილს ბუფაშვილზე ესაუბრება. საუბარ-

ია ბიზნესის წილებზე, რომელიც პატარაკაციშვილს ჰქონდა, ჩამოართვეს და შემდეგ ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმა გადაიხადეს.

მათ შორის დავით კეზერაშვილია. კიდევ ერთი ჩანაწერში, მიხეილ სააკაშვილი, ეროსი კონმარიშვილი, ვანო ჩხარტიშვილი, ზურაბ ჟვანია და ბადრი პატარაკაციშვილი ტელევიზიითან დაკავშირებით საუბრობენ და "რუსთავი 2"-ის, "იმედის" და "მზის" საკადრო პოლიტიკას არკვევენ. აღსანიშნავია, რომ მოქმედი პირებიდან ორი – ბადრი პატარაკაციშვილი და ზურაბ ჟვანია უკვე გარდაცვლილები არიან.

ფსიქიკური პოლიტიკური რეკლამა

41

„ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“

მისამართი: ჩოხატაური – ნოდარ დუმბაძის ქ. №25, ☎ 2-2010, (599)207470

გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. გაზეთი იგზავნება საქართველოს პრეზიდენტის აპარატში, სახელმწიფო კანცელარიაში, საქართველოს პარლამენტში.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე ვრცელ მასალას და შეუკვეთავ წერილებში ჰინორარს არ გასცემს

გამომცემელი ია მაგალაძე Email: ia@gurianews.com მთავარი რედაქტორი ბიორბი სიხარულაძე

ოზურგეთის განყოფილების ხელმძღვანელი თამარ ლეფსაძე-ნიძე ☎571903980

ოზურგეთის განყოფილების ხელმძღვანელი ლალი იმედაზიშვილი ☎571903987

სარედაქციო მენეჯერი შანა მებრეაღიშვილი ☎571903979

ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები – სიტყვა 15 თეთრი; თანაგრძნობა, მილოცვა – სიტყვა 20 თეთრი;

სამგლოვიარო განცხადებების განთავსების მიზნით ფართის შექმნისას, ღირებულება იანგარიშება შესაბამისი გვერდის ფასის – 350 ლარის მიხედვით.

Table with 2 columns: Service Name, Price. Includes: რეკლამის ფასები, არაპოლიტიკური რეკლამა: შესაბამისი გვერდზე: მთლიანი გვერდი (1000 სმ²) – 200 ლარი; ნახევარი (500 სმ²) – 110 ლარი; მეთოხბედი (250 სმ²) – 60 ლარი; მერვედი (125 სმ²) – 35 ლარი; მეთექვსმეტედი (62 სმ²) – 20 ლარი.

გაზეთის გამომცემელი მართი თქვიტი ლირს 3 ლარი

დეკლარაციის მსჯელობა მსჯელობა ანტიკორუფციას

ა-1

ოზურგეთის საიმიდო დასაყრდენი პარლამენტისა და მთავრობაში. ოზურგეთის დავუშვებდნენ ღირსეულ ადგილს სამართლიან და ძლიერ საქართველოში.

კახაბერ ლლონტი, "ქრისტიან-დემოკრატების" აქტიურ წევრად ითვლება. ის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია, 2010 წელს მისი პარტიიდან ოთხი ადამიანი მოხვდა თვით მართველობაში და ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარეა.

– მე, როგორც რიგითი ოზურგეთელი, ვიცნობ ყველა იმ რეალურ პრობლემებს, რომლებიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს. თუ ოზურგეთის საზოგადოება, საპარლამენტო არჩევნებზე გამოიხატავს ნდობას, მომანიჭებს ნდობის მანდატს, ვპირდები, თითოეული ჩემი გადადგმული ნაბიჯი, თითოეული ჩემი ინიციატივა მიმართული იქნება ყველა იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელიც უკვე წლების მანძილზე ასე მწარედ აწუხებს ოზურგეთის მოსახლეობას.

ლევან კალანდიაძე მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მრჩეველად სოციალური რეფორმების საკითხებში, შემდეგ სხვადასხვა სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა, მაგალითად, საქართველოს ანტიმონოპოლიურ სამსახურში უფროსის მოადგილედ.

ლევან კალანდიაძე: – რატომ უნდა მოგვეცეს ხმა ამომრჩეველმა, ამაზე პასუხი არის ძალიან მარტივი: – ახალი მემარჯვენეები არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც რეველუციური პოლიტიკით არ გამოირჩევა, ეს არის ძალა, რომელიც ორიენტირებულია თითოეული ადამიანისთვის, თითოეული ოჯახისთვის პრობლემების მოგვარებაზე და პრობლემების მოგვარების სათავე არის სწორედ ქვეყანაში მრავალპარტიული პარლამენტის ჩამოყალიბება.

2 000 ჯარიმ – აქტიური მონაწილეობისთვის

ა-1

– როგორ უნდა ვაჩვენებელიყავი სახლში, როდესაც ჩემი თანასოფელელები აპროტესტებდნენ იმ ბოროტებას და ნებისმიერ ადამიანისთვის მიუღებელ საქციელს, რაც საქართველოს ციხეებში ხდებოდა? ეს ფაქტები არის დასაგმობი. მე ვარ მოქალაქე, კაცი, ადამიანი და ახლაც ვაპროტესტებ მსგავს ქმედებებს, – თქვა ბაქანიძემ ჩვენთან საუბრის დროს.

ამირან ბაქანიძეს უფლება აქვს, ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს, ხოლო დარღვეული ჯარიმა 30 დღეში უნდა გადაიხადოს.

ოზურგეთის კოინოვაციური სასამართლოში პროცესზე №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის იურისტი გიორგი ხუროშვილი გამოცხადდა, ხოლო ამირან ბაქანიძე ადვოკატის გარეშე იცავდა თავს. პროცესს ესწრებოდა ასევე ორი მონაწილე, ისინი "ლეგობისტიკური პარტიის" და "თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ მოსამართლემ ისე დაასრულა საქმე, რომ ისინი არ დაუკითხავს.

რაც შეეხება სასამართლოს დადგენილებას, იქ წერია, რომ "სასამართლო ვერ გაიზარებს ამირან ბაქანიძის პოზიციას იმის შესახებ, რომ სამართალდარღვევა არ ჩაუდენია. სასამართლო პროცესზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებენ მის მიერ საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 79-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას.

საგანგებობა ჩინოვნიკებისთვის

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი თავი III. იწმინდების თაჩისუფლება

მუხლი 28. საჯარო იწმინდების ხელისაწვდომობა

საჯარო იწმინდების ღირსეული დასაყრდენი აქტივით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღირსეული და გარდაუდებლად არსებითი ზიანს მიყენებს: ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაგეგმვა დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერუო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერუო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოკვლენას, აღკვეთასა და დამნაშავეს პასუხისმგებლობაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შუალაზღვრულ ექვტიტანის ან ბრალდებულის უფლებებს გამოძიების სადამსჯელო ბაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ექვტიტანის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

მუხლი 36. საჯარო იწმინდების ხელისაწვდომობის უზრუნველყოფა საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო იწმინდების ხელისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

მუხლი 37. საჯარო იწმინდების მოთხოვნა ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო იწმინდების მისი ფიზიკური ფორმისა და

“გურია ნიუსი“ ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი

- ჟურნალისტი ვალდებულია თქვას სიმართლე, გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია და დაზუსტოს ყველა მხარის ინტერესები, არ შელახოს პიროვნების უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმპცია და დაცვას ინფორმაციის წყაროს პირადულობა.
- ჟურნალისტი ვალდებულია პირველ რიგში დაიცავს მოქალაქეთა უფლებები და საზოგადოების ინტერესები, არ დაუშვას დისკრინინაცია ნებისმიერ საფუძველზე.
- ჟურნალისტი ვალდებულია თავიანთი ცხოვრების წესისგან გამომდინარე, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მთავან, ვისზეც ის წერს.
- ჟურნალისტი ვალდებულია ასრულებდეს ნებისმიერ ძალაუფლებაზე დამოუკიდებელ მინიტორინგს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპების სასარგებლოდ.
- ჟურნალისტი ვალდებულია არ გაავრცელოს მოვლენები, შეინარჩუნოს სიმშვიდე, მზად იყოს უარის ან შეურაცხყოფისთვისაც კი.

პროორიტეტი.

ლიბორისტიკური დათო მამალაძე 1996 წლიდან არის პოლიტიკაში და მისი საქმიანობა ახლა ადვოკატობაა, მანამდე კი სხვადასხვა მუშაობდა სტრუქტურებში.

დათო მამალაძე: – მე წარმოვადგენ პოლიტიკურ გუნდს, რომელსაც მოსახლეობის 99% გამოხატავს. ამჟამად მიმდინარეობს მოსყიდვები, შავი ფული ტრიალებს რუსეთიდან და ამერიკიდან, არის ტერორი და დაშინება მოსახლეობის ჯერჯერობით, ხალხი გონს ვერ არის მოსული, მაგრამ ძალიან მალე მოვა და ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ ვაპირებთ, ავადგინოთ სოციალური სამართლის ქვეყანა, ავადგინოთ ილიასული ხიდი, რომელიც იმ ხალხმა ჩამატვრიეს, ვისაც საქართველო არ უყვარს.

კახა ბურჯალიანი მუშაობდა ლაჯანურჰესის კასკადზე. 1996 წლიდან ის სხვადასხვა პარტიის აქტიური წევრია, ახლა კი "თავისუფალი საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია.

კახა ბურჯალიანი: – მე, ოზურგეთში 1996 წლიდან ვცხოვრობ და უკვე კარგად ვიცნობ თითოეული ოზურგეთელის პრობლემას და გასაჭირს. რატომ უნდა მომცეს ხმა ამომრჩეველმა? აი, ამის გამო – არანაირი კომპრომისი სააკაშვილის რეჟიმთან, გაყალბებულ არჩევნებს დაეუბრისპირებო მასობრივ აქციებს; გათავისუფლებიან უკანონო პატიმრები, გაუქმდებან საპროცესო გარიგებების და პრობაციის სისტემა; სახელმწიფო დაიცავს ქართულ ენას ინგლისურის მოძალებისგან, ხოლო მართლმადიდებლურ ეკლესიას – სექტებისგან, აიკრძალება გარყვინილების პროპაგანდა; საუბნისო ზღვარი მამაკაცებისთვის შემცირდება 60 წლამდე, ქალებისთვის – 55 წლამდე; 10 000 ნიჭიერ სტუდენტზე გაიკუმბა 100%-იანი გრანტი.

და ბოლოს, "გურია ნიუსი" გთავაზობს, ჩვენს ვებ-გვერდზე განთავსებული გამოკითხვის შედეგებს, რომელიც 26 სექტემბრის მონაცემებით ასე გამოიყურება: – რამაზ ნიკოლაიშვილი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, – 25%, ზვიად კვანჭატირაძე, "ქართული ოცნება" – 61%, კახაბერ ლლონტი, "ქრისტიან-დემოკრატული მოძრაობა" – 1%, ლევან კალანდიაძე, "ახალი მემარჯვენეები" – 2%, დავით მამალაძე, ლიბორისტიკური პარტია – 1%, კახა ბურჯალიანი, თავისუფალი საქართველო – 3%.

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.



ბაში მიცემული პირის განმარტებები არადამაჯერებელია და არ შესაბამება საქმის რეალურ არსს.

წარმოდგენილი ვიდეოდისკით უტყუარად დასტურდება, რომ ადგილი ჰქონდა ამირან ბაქანიძის მიერ სხვა პოლიტიკური პარტიის საწინააღმდეგო მონაწილეობას, რაც საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისად წინასაარჩევნო აგიტაციას. ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ვიდეოდისკით არ დასტურდება მისი არაბრალეულობა. მის მიერვე მითითებული ინტერვიუების გამოკვლევებით დადგინდა, რომ კვლავ ენოვდა სხვა პოლიტიკური ძალის საწინააღმდეგო მონაწილეობას. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მას არ ჰქონდა კოალიცია "ქართული ოცნების" სიმბოლიკა, ვერ გამოდგება სამართალდარღვევაში მისი არაბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

პროცესს ესწრებოდა კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენელი, მარინე სუნგულია, რომელიც აცხადებს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებით, ამირან ბაქანიძეს არ ჰქონდა უფლება, როგორც კომისიის წევრს, განცხადება გაეკეთებინა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ: – მოსამართლემ უთხრა, თქვენ გააკეთეთ "ნაციონალური მოძრაობის" საწინააღმდეგო განცხადება, ანუ მოსამართლემ დააფიქსირა, რომ ხელისუფლება და "ნაციონალური მოძრაობა" ერთი და იგივეა, რაც სინამდვილეში გამიჯნული უნდა იყოს და ესეც იკრძალება, – თქვა მარინე სუნგულიამ.

შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაცემოს ინფორმაციის დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყო ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

მუხლი 40. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ 1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ.

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ. მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

- ჟურნალისტი ვალდებულია არ იყოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არ დაუშვას შეფარული ან პირდაპირი რეკლამა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველზე არ დაუშვას კერძო ან ეკონომიკური ხასიათის გავლენა მასზე.
- ჟურნალისტი ვალდებულია განსაკუთრებით დაიცავს ზავითა უფლებები, ხელშეუხებლად მიიჩნოს მისი პიროვნების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პრინციპი.
- ჟურნალისტი ვალდებულია ფართოდ ითანამშრომლოს კოლეგებთან, შექმნას კომპრომისული და მიმტეველობის ატმოსფერო.
- ჟურნალისტი ვალდებულია სიტყვით, საქმით და სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაიცავს ჩვენი გაზეთის ინტერესები და ეს ეთიკური კოდექსი გაზეთის პოპულარობისა და პრესტიჟის გასაზრდელად.

“კანონიერი ქურდები“, “ქართული ოცნება“ და შეხვედრა, რომელიც უს-მ დაუხვია

1-1

კაცებით, ქართულ პოლიტიკაში მათ ჩართულობასა და ცალკეულ ქართველ პოლიტიკოსებთან კავშირებს ასახავს.

ჩანანერის მიხედვით, ვინმე ვოვა ერემიანი კრიმინალურ ავტორიტეტ ლევან რევიშვილთან საუბარში აცხადებს, რომ ის, რაც “ხიზანამ“ (დავით ხიზანიშვილი) დაავალა, 5-იანზე შესარულა და “300 არაგველებზე, მეტეხის ხიდან, წურწუშიაზე მცხოვრები ხალხი ყველა “ოცნებას“ აძლევს ხმას“. გარდა ამისა, გამოქვეყნდა ლევან რევიშვილის უცხო პირთან საუბარიც, რომელიც ფიგურირებს ფრაზა: “ნახეთ, ორი ავტობუსი ხალხი რომ გამოეფეშეთ და “ბიძინა, ბიძინა“ ვაძახებინეთ?”.

ამ ჩანანერის გავრცელებიდან ძალიან მალე, ტელეკომპანია “მაცესტრომ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ლევან რევიშვილი, რომელიც უს-ს მიერ დღეს გავრცელებულ მასალებში კრიმინალურ ავტორიტეტადაა მოხსენიებული, “ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორია.

“ლევან რევიშვილი, რომელიც უს-ს მიერ გავრცელებულ მასალაში კრიმინალურ ავტორიტეტად არის მოხსენიებული, “ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორია. ლევან რევიშვილი დღეს გამოქვეყნებულ სატელეფონო საუბარებში კანონიერ ქურდთან დავით ხიზანიშვილთან და კიდევ რამდენიმე ქურდთან საუბრის დროს არის გაშიფრული“, – იწყება ტელეკომპანია “მაცესტრომ“.

როგორც რევიშვილის მეზობლები “მაცესტრომ“ ჟურნალისტიდან საუბარში ამბობენ, მისი კრიმინალური საქმიანობის შესახებ არაფერი იციან. მათივე თქმით, რევიშვილი დიდი ხანია “ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორია და მოსახლეობის “ნაციონალურ მოძრაობის“ ლიდერებთან შეხვედრებს კოორდინაციას უწევს. გარდა ამისა, ტელეკომპანიამ რევიშვილის ფოტოებიც გაავრცელა, რომელზეც ამ უკანასკნელს “ნაციონალების“ მაისური აცვია.

იმავე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ კანონიერი ქურდი, რომლის გამოშვებაც გუბაზ სანიკიძე ვალერი ხაბურძანიას თხოვს, რუსეთის ციხიდან რამდენიმე წლის წინ განთავისუფლდა. საინფორმაციო სააგენტოებმა ისიც გაარკვიეს, რომ კანონიერი ქურდი, ვინმე ნემსიწვერიძე, რომელთან შეხვედრის შესახებ კახი კალაძე უცნობ პირს ესაუბრება, 2 წლის წინ გარდაიცვალა.

“მე ჟურნალისტი ვიყავი. 20 წელი ქუთაისში, ამ თემებზე ვმუშაობდი და ზუსტად ვიცი, რომ კალაძის ჩანანერში ნახსენები ქურდი ნემსიწვერიძე ორი წლის გარდაცვლილია, ჩაკვეტაძე – ამ გვარის ქურდი არ არსებობს. ამოდენა სისტემაში, ვგულისხმობ შინაგან საქმეთა სამინისტროს, არ აღმოჩნდა არც ერთი პროფესიონალი, რომელსაც ეს ეცოდინებოდა. ეს არის მორიგი სისტემური მარცხი, სააკაშვილს დავესხები“, – აღნიშნა “საქართველო და მსოფლიოს“ -სთან საუბრისას “ჩემი



ბუბა კიკაბიძე “კანონიერ ქურდებთან“ ერთად

საქართველოს თავმჯდომარემ“ ელისო კლაძემ.

გაირკვა ისიც, რომ ლაშა შუშანაშვილი, რომლის დავალებით “კანონიერი ქურდები“ და კრიმინალური ავტორიტეტები მოქმედებდნენ, საბერძნეთში, ქალაქ სალონიკში, “დაივიტას“ ციხეში იხდის სასჯელს.

ერთ-ერთი შეცდომის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომაც აღიარა და ტექნიკური ხარვეზის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა: “ჩვენს მიერ, დღეს, გავრცელებულ ფარულ აუდიოჩანანერში გაიპარა ტექნიკური შეცდომა. ადამიანი, რომელიც საუბრობს დათო

ხიზანიშვილთან, არის არა გიორგი უგულავა, არამედ გივი ბლიაძე. გივიზანით ბლიაძის ფოტოს და გთხოვთ, შეასწოროთ თქვენს ინფორმაციებშიც აღნიშნული ხარვეზი“, – განაცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

P.S. იმავე დღეს, სოციალურ ქსელებში გავრცელდა ბუბა კიკაბიძის ფოტო, სადაც მომღერალი “კანონიერ ქედებთან“ ერთად პოზირებს. საზოგადოება მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, კიკაბიძის კავშირებთან დაკავშირებას და გაარკვიოს, როდის, რა ვითარებაში და სად არის აღნიშნული ფოტო განთავსებული.

მაქსიმალი

“სინკვ, მოგიკვდას აშენებელი“

ციხებანაკი, ციხეგალავანი, ციხებურჯი, ციხეგოდოლი, ციხედარბაზი, ციხეკოშკი, ციხეკალაბი, ციხესახიზრები, ციხესიმაგრე, ციხექალაქი – ამდენიარი დანიშნულება ჰქონდა ციხეს საქართველოში. ციხე საგანგებო შემთხვევა იყო, სადაც ათავსდნენ პატიმრებს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

ამ განმარტებათა წყობის მიხედვით, მოეჩვენა, თითქოს ადამიანთა “ჩასამწყვდობი“ განკუთვნილ ციხეს, მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ, ქვეყნის სადარაჯოზე მუდმივად ფხიზლად მდგომ გოდოლებსა და კოშკებს.

გეკონდა დილეგი, ანუ ციხეკოშკის ძირი ნაწილი, რომელიც საკუთრივად გამოიყენებოდა. ისტორიამ, ასეთ თავისუფლების აღკვეთა ძველ დანესეულებებში, პურობილითა ცხოვრების და გნებავით, წამების უამრავი მაგალითი შემონახა.

შუმანიც დიდოვალს მძიმე ჯაჭვი ედო ქედზე, ურჩი ფეოდალი ბავლეში, თითქმის მთელი ცხოვრება აწარუებდა უზარმაზარი ბოქლომით დაკეტილ მძიმე ჯაჭვს, ფეხზე დადებულს. გახურებული ნაღით ან სხვა რკინის ნაკეთობებით დადავული ტუსალების ხორცის სუნაც ტრიალებდა დილეგებში. გახურებული რკინის ფორფიტებით არ დაუშრიტა თვალები გიორგი მეფემ კოლონელიძეს? საზარელი ფაქტება და მუდმივად სამახსოვრო, თუქცა, მინახავს მონღოლებული კაცი მათში, ფერმკრთალ ნერტილსაც ამ სამინილებათა ოდნავ მაინც გაამარტებდეს – საქმე სამშობლოს, სარწმუნოების გადარჩენას ენება და არა პირადი მიზნის. ცხოვრება რას აღარ განახებს, მით უფრო, თუ ხუთ ათეულ წელზე მეტი XX საუკუნისთვის დაგტოვებია და აგერ XXI-შიც თუ სული გამოგყოლია, შეუძლებელია, მშვიდად ისუნთქო.

თავის დახრდა და მხრების ჩამოყრა არ მჩვევია. ბევრჯერ სასონარკვეთილებაც დამიძღვრია, მაგრამ 19 სექტემბერს ეს ვეღარ შევძელი. არც ცრემლი, არც სიტყვა, მხოლოდ გამუქება და თვალის ფშვინება – მოჩვენების იმედით. მაგრამ არა! ეს სინამდვილე იყო!

მთელ საქართველოსთან ერთად არც ჩოხატაურს სინიღია იმ ღამეს, საეჭვოა, ღამეც გამოდგეს ძილისთვის.

თქვენმა უმრავლესმა ნაწილმა ვერ გაბედა, შეერთებოდით სპონტანურად

შეკრებილ ადამიანებს და სიტყვას ვინ გთხოვდათ, რამდენიმე ნაბიჯი მაინც შეგვეშველებინათ გაუგებდურებული ადამიანების თანამგრძობელთათვის.

დამნაშავენი დაიჭირეს, ზოგსაც ანი დაიჭირეს! რამდენიმე თვის წინ, “ციხის სუპს“ რომ მორიდებულად სვრებდა კოვზის წვერდანი, ის ხათუნა კალმახელიძე გადადგა.

შემოიღო სახეები, სინანული, დანაშაულის აღიარება და მობოდიშება!

არ ვიცოდით? საქართველოში ერთ ენმეს მაინც სჯერა ეს? რა გადადგომა? რა ბოდიში? რა ცვლილებები? “კოოქინკროქინით“ გადადგებით ბოდიშებით, კურცხლებსაც სულ ზვინიზ-ზვინიზით დაღვრით. არა, თქვენ ციხის ახალი ბინადრები უნდა გახდეთ!

7 ნოემბრის და 26 მაისის შემოქმედით, შეგრცხვებათ რამის? ისევ გაისმა, ხალხო, ნულოვანი ტოლერანტობა, ამ ქვეყანაში გასაკვირი არაფერია და ამ საზარელ ორ სიტყვას კიდევ ბევრი ბუბა რობაქიძე შეგნირება. ერთ დიდ საოცრებაზეც შეგაჩერებთ – ხელისუფლებამ ბოლომდე დაკარგა თავმოყვარეობა. “ქვედან“ მოვლენილი ჩინოსნები, შეღამდება თუ არა, სოფლის შუკეში შემოძვრებიან, მათ უერთდებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ვინ იცის, მერამდენად აკითხვენ თითოეულ მოსახლეს და ურცხვად, ყველა ხერხის გამოყენებით აგროვებენ ხმებს.

ასე როგორ დავით? არჩენები თავისი გზით წავა და თქვენ ხმებსაც გაიყოლებს, მაგრამ ჩვენ ხომ აქ ვრჩებით, ჩვენს პატარა ჩოხატაურში, სადაც დღეს მტრად ქცეული ოჯახები ფეცილის სასესებლად მიადგებიან ერთმანეთს

თანაუგრძნობ ნანამებ პატიმრებს და მათ ოჯახებს. ყველა უკანონოდ დაჭერილი პატიმარს. ციხე, დიხაძე, აუცილებელია. სხვანაირად ვერ იარსებებს ქვეყანა, მაგრამ აუცილებელია ისიც, რომ ადამიანად გცნონ და გაღიარონ. ღმერთმა გამოიროთ ციხე, რომლის ამშენებლის არსებობის დღიდან ასე შეგვენს საქართველო: “ციხე, მოგიკვდას აშენებელი, შენ ხარ ვაჟკაცის დამლონებელი“!

აღარავინ გვენახოს დალონებული, მით უფრო, უფლებდაყრილი!

პედაგოგებო, მზად ხართ... თუ...?!

თავისუფლება ეკუთვნის მას, ვინც მისთვის იბრძვის! – ეს ჯორჯ ვაშინგტონის სიტყვებია.

მაინც რა არის თავისუფლება? – ისევ სულხან-საბას მოვიშველები: “თავის-უფალი – არავისი მონა... რაც ენებოს, ქნას!“

დავავჯეროთ საკუთარი თავი, რომ არავისი მონა არ ვართ! დავაჯერეთ?! – აბა, საკუთარ გულში ჩავიხედოთ, საკუთარ სინდისს გავესაუბროთ! გავიხარეთ ვინ ვართ, ვის და რას ვემსახურებით? თუ გავიხარეთ მაშინ ეს შეგონებაც გავისიგრძევათ: “გაახრებების შემდეგ თვალის დახუჭვა, უკვე ბოროტებაა“.

მაინც რაა ბოროტება, ბოროტო? – “ავის მოქმედი, გინა უქეთილო... რა იგი არა, გენებოს, იგი გიყოს კაცმან“, – ესაია წინასწარმეტყველი.

რატომ მომიხდა ასე ამ სიტყვების საჯარო და სიღრმისეულად გაახრება? თამაშ ბუთხუზის შემდეგმა სიტყვებმა ჩამაფიქრა: “იყავი საკუთარი თავისთვის სანთელი!“

ეს რომ შეგვეძლოს, ასეთები რომ ვიყოთ... რა ლამაზი, როგორი მშვენიერი, შინაარსიანი და მაღლიანი იქნებოდა ცხოვრება!

რამდენი გვეყავდა ასეთი. მხოლოდ ერთს – წინიდა მონამე გრიგოლ ფერაძეს გავიხსენებ. იყო საკუთარი თავისთვის სანთელი და მშქლო სხვისთვისაც ენათა, უცხოისთვის, სასიკვდილოდ განწირულისთვის სიცოცხლე საკუთარი სიცოცხლის ფასად შეენარჩუნებინა!

ენთო სანთლად და დღესაც ანათებს. ამ ნათების ფასი, ყველა პროფესიისგან გამორჩეულმა პედაგოგებმა უკეთ იციან (თუ უნდა იცოდნენ?!)...

მამული, ენა, სარწმუნოება! – ეს საოცარი სიტყვები პედაგოგისგან არის უპირველესად გასაზრებელი: პედაგოგი ხომ აღმზრდელია, თაობების, ქვეყნის იმედის და მომავლის აღმზრდელი! პედაგოგმა ხომ ისეთი საზოგადოება უნდა აღზარდოს, რომელსაც არ შეეყრება მომაკვდინებელი სენი – გულგრილობა!

რატომ ვსაუბრობ ასე პედაგოგებზე? – სიყვარული, მონივნება, თაყვანისცემა, ტკივილი, გაოგნება, ნუხილი...

აი, რა დაავროვა ბოლო წლებმა და დღევანდლობამ ჩემში.

ზოგჯერ გაუაზრებლად ვიცი ფურცლების შენახვა. ასე შემინახავს №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის “განკარგულება №3/2008“, რომლითაც მდივანი ადგენს, რომ... “დამკვირვებლად რეგისტრაციაში გატარდეს ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო ცენტრის დამკვირვებლები“.

რა დამავიწყებს, ეს განკარგულება ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორმა სახლში მომიტანა (მე ხომ ერმა და ბერმა ბინის პატიმრად მაქციეს) და წერილის დაწერა მთხოვა. ნავიკითხე ჟურნალისტთა დაცვის დამკვირვებელთა სია და... საიში ჩვენი სკოლის დირექტორ-მასწავლებელთა სიმრავლე იყო! გაცხებულმა წერილი დავწერე, მაგრამ... როცა ბატონი რედაქტორი ისევ მენიდა, მეგონა სტატიის ნასალებად იყო მობრძანებული, თუმცა, ჩემი გაოცება მაშინ გენახათ, როცა საკმაოდ დაბნეულმა მოკრძალებით მითხრა, რომ თუ ეს წერილი გაზეთში არ დაიბეჭდებოდა, ერთ ყოვლისშემძლე რედაქციას ეკონომიურ დახმარებას გაუწევდა(!).

წერილი მის თვალწინ დავხიე! ტკივილი მერე მომეძალა, რადგან რედაქციიდან ჩემი ნამოსვლა გამახსენდა.

საქართველოში დაბრუნებულმა შევარდნაძემ სასტიკად აკრძალა ხე-ტყის უკანონო ჩეხვა და ქვეყნის გარეთ გატანა. ეს ბრძანება დაარღვია მიხეილ ჭკუასელმა, რომელიც გურიას განაგებდა. გურია-აჭარის საზღვარზე, სამართალდამცველებმა აჭარის მანქანები დააკავეს. მძღოლებს საბუთები ჩამოვარდნით, საშვს ხელს ჭკუასელი აწერდა. კაბინეტში მივუტანე ეს საშვი. სამსახურში დაბრუნებულმა წერილი დავწერე, რომელიც მეორე დღის ნომერში უნდა დაბეჭდებოდა... მაგრამ რედაქტორი რამდენჯერმე ვთხოვე მისი გამოქვეყნება. უარი! მიზეზი? თუ არ დაიბეჭდებოდა, ჭკუასელი გალარბეზულ რედაქციას ფინანსურად დაეხმარებოდა(!).

მე რედაქცია სამუდამო ტკივილით დაგტოვე!

ბაკურიანის უსასხაპი ფარული ვიდეოჩანანება ვიდეოჩანანება

(საინფორმაციო სააგენტო “პირველი“) – კოალიცია “ქართული ოცნების“ გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატის მამუკა არემიძის შესახებ ფარული ვიდეო-მასალა გავრცელდა. კადრში ჩანს, მამუკა არემიძე როგორ ესაუბრება პიროვნებას და მას ჰპირდება, რომ არჩენებში ხმების დიდი რაოდენობის სანაცვლოდ, “ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, კოორდინატორებს მალაღ თანამდებობებს ან ფულს შესთავაზებს.

კადრში ასევე ჩანს, როგორ აწვდის აღნიშნულ პიროვნებას ფულს არემიძე.

საარჩევნო ბლოკ “ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მამუკა არემიძის განცხადებით, მის შესახებ გავრცელებული ვიდეო-ჩანანერი ფალსიფიცირებული და დამონტაჟებულია. ამის შესახებ არემიძემ “პირველს“ მედია-საშუალებებში გავრცელებული იმ ჩანანერის კომენტარებისას განუცხადა: “ეს ვიდეო-ჩანანერი არის დამონტაჟებული და ფალსიფიცირებული. თავად პიროვნება, რომელიც კადრებში ჩანს, არის გიორგი სიბაშვილი, რომელიც ჩემს ოფისში, თბილისში რამდენჯერმე მოვიდა. ის არ მეშვებოდა და მთავაზობდა, “ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამტყრების გადმობრებას, რაზეც მე უარს ვუთხრებოდი. ამასთან, ის იმდენად არასერიოზული პიროვნებაა, რომ მასთან საქმის დაჭერა არც შეიძლება. თუმცა სიბაშვილი არ მეშვებოდა, მაგრამ, როცა მაინც ვერ გამომიყენა, ერთ-ერთ შეხვედრაზე დაინციო ტირილი, რომ გზის ფული მაინც მიმეცა და მე მას დავებმარე.“

იკითხეთ

იკითხეთ

გურია

NEWS

თეორ ქადვიშვილი

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

გლოკი "გიჟინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" საარჩევნო პროგრამა

დასასრული

თავდაცვის სისტემა და შინაარსიანი ალტერნატივა

წლების განმავლობაში თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემაში მომხდარმა ქაოსურმა ცვლილებებმა შეუქცევადი გახადა სისტემის რევეის პროცესი, რაც ნათლად აისახა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებზე. ამის უმთავრესი მიზეზი სისტემის განვითარების ერთიანი ხედვისა და პოლიტიკის არარსებობა იყო. ხელისუფლება ცდილობდა საზოგადოების ზოგადი განწყობითა და რეკინგებით მანიპულირების გზით ჯარს პოზიტიური იმიჯი შესძინოს, გაამართლოს ომის პერიოდში დაშვებული საბედისწერო შეცდომები, სამხედრო ძალების განვითარებისათვის გაღებული მილიონობით საბიუჯეტო დანახარჯები და საბოლოოდ, თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა სწრაფი დამარცხებისა და მსხვერპლის გამო.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის დაბალი ხარისხი, გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშგაუკეთებლობის საკითხები. საპარლამენტო კონტროლი, ფაქტობრივად, მოიშალა და ის დაექვემდებარა სახელისუფლებო, პოლიტიკურ შიდა დისციპლინას, რომლის მიზანია საზოგადოებამ არაფერი იცოდეს ამ სისტემაში არსებულ პრობლემებზე და პარკამანებით შეიქმნას პოზიტიური იმიჯი. მოუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში თავდაცვის ბიუჯეტი იყო ყველაზე დიდი, ხელისუფლება თავს არიდებდა ანგარიშგებას, ხოლო სამოქალაქო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასშუალებებს არ ეძლეოდათ ინფორმაციის მიღების საშუალება.

კრიტიკულია მილიანად უსაფრთხოების სექტორისა და, კერძოდ, შეიარაღებული ძალების პოლიტიკის მიხედვით, რაც გააძლიერებდა შეიარაღებული ძალების ვინაობის კონტროლი. სამხედრო მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი ხშირად ხდება მათი თავისუფალი აზრის გამოხატვა ან პოლიტიკური სიმპათიები. არჩევნები სამხედრო ნაწილებში არაოფიციალური ბრძანების ფარგლებში ტარდება, რაც გულისხმობს სამხედროების იძულებულ გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებზე და ხმა მისცენ მმართველ პოლიტიკურ ძალას. სამხედრო პოლიცია, რომელსაც თავისი ფუნქციით სამხედრო დანიშნულება აქვს, დღესდღეობით, მინისტრს ექვემდებარება და ნაცვლად დისციპლინის უზრუნველყოფისა, ახორციელებს დადამსჯელო ღონისძიებებს, მათ შორის, ისეთებს, რომლებიც ვინაობის პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება.

წლების განმავლობაში თავდაცვის სისტემაში გატარდა არა ერთი რეფორმა. აღსანიშნავია, ამ რეფორმების შემუშავებისას დასავლეთის ექსპერტული მხარდაჭერის მნიშვნელობა. თუმცა, ხელისუფლება, საჭირო რეკომენდაციების გათვალისწინების მაგივრად, გაუაზრებელი, პროფესიონალიზმს მოკლებული გადაწყვეტილებების მიღებით სპობდა სისტემის განვითარების შესაძლებლობებს.

თავდაცვის მინისტრების ხშირ შეცვლასთან ერთად იცვლებოდა სისტემის მართვისა და განვითარების ხედვები, სამეთაურო შემადგენლობა, რაც, როგორც წესი, მმართველი პარტიის პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად ხდებოდა. ათასობით პროფესიონალი სამხედრო იქნა დათხოვნილი შეიარაღებული ძალებიდან მხოლოდ იმის გამო, რომ მათი ცოდნა და პროფესიონალიზმი ბევრად აღემატებოდა თანამედროვე სტანდარტებს;

მათი ხელმძღვანელობის ცოდნასა და პროფესიონალიზმს, აგრეთვე იმის გამო, რომ საკუთარი კრიტიკული აზრი გამოთქვას არასწორ რეფორმებთან დაკავშირებით.

წლების განმავლობაში განხორციელებულმა ქაოსურმა და გაუაზრებელმა რეფორმებმა საბოლოოდ მოშალა შეიარაღებული ძალების მართვის, კოორდინაციისა და კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, გაუქმდა მთელი რიგი ისეთი სისტემების (საპაერო და საზღვაო ძალები და მრავალი სხვა), რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა შეიარაღებული ძალების ეფექტიანად ფუნქციონირებისა და მათი განვითარების პერსპექტივისათვის.

დღესდღეობით თავდაცვის სისტემა იმდენად მოშლილია (სისტემური გაგებით), რომ ნებისმიერი, თუნდაც პოზიტიური, რეფორმის განხორციელებას შედეგი არ მოაქვს. აბსოლუტურად გაუაზრებელი და გაუგებარია არსებული სამხედრო სარეზერვო სისტემა. ეს სისტემა თავისი არსით, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება 2008 წლის ომამდე არსებული საგანგებო მდგომარეობის დროის კრიტიკულად უარყოფითი მხარეები. თუმცა, მისი შემდგომი დახვეწისა და რეფორმირების ნაცვლად, ხელისუფლებამ შეიმუშავა ნებაყოფლობითი სარეზერვო სისტემა, რომელმაც ისედაც არაეფექტიანი სისტემა სრულ ქაოსში გახვია.


კრიტიკას ვერ უძლებს სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური და კარიერული პრობლემა, მათი უფლებების დაცვის მდგომარეობა. დღეს სამხედრო დისციპლინის ხელმძღვანელობა იყენებს ფინანსურ სადამსჯელო ღონისძიებებს და ისედაც რთულ სოციალურ გარემოში ამძიებს სამხედრო მოსამსახურეთა ყოფას. სამხედრო მოსამსახურის კონტრაქტი არის კაბალური და ითვალისწინებს მხოლოდ თავდაცვის უწყების ინტერესებს. ფაქტობრივად, ნებისმიერ დროს შესაძლებელია სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა და მისთვის კოლოსალური ჯარიმების დაკისრება. ხელისუფლებამ წლების განმავლობაში თავი აარიდა სამხედროებისთვის მიცემული დაპირებების შესრულებას, მათ შორის, მათი ბინით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

დაბოლოს, თავდაცვის უწყებაში იმდენად ბევრია პრობლემა, რომ რთულია მათ შესახებ ამომსურავად საუბარი და ყველა ხარვეზის აღნიშვნა.

მთავარი პრობლემა მაინც არის ის, რომ სისტემა დღესდღეობით აბსოლუტურად გაუმართავია და საჭიროებს საფუძვლიან რეფორმირებას.

შეიარაღებული ძალების განვითარების ძირითადი მიმართულებები:

1. საჭიროა, დაინერგოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის წარმართვისა და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ფორმულირების დასავლური სტანდარტები და მეთოდები;
2. უნდა დაიხვეწოს სამხედრო ძალების საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი, გაიზარდოს პარლამენტის მონაწილეობა შეიარაღებული ძალების განვითარებისა და კონტროლის საქმეში.
- საპარლამენტო წილის ჯგუფში და ცუელი უნდა იყოს უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლობითი პალანსი. საავალდებულო უნდა გახდეს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან პარლამენტისათვის საჯარო ანგარიშების წარდგენა, მათ შორის, ფინანსურ საკითხებზე;
3. თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში შეიქმნება "სამოქალაქო ზედამხედველობის მრჩეველთა საბჭო", რომელიც იქნება გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული იქნება შესაბამისი სტრატეგია და დამკვიდრდება თანამედროვე სტანდარტები;



4. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა თავდაცვის სამინისტროს სრული დეპოლიტიზაცია, სამხედრო ძალების საკადრო უზრუნველყოფა მხოლოდ პროფესიონალიზმის ნიშნით;

5. მონივნავ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს ფუნქციების განაწილება თავდაცვის მინისტრსა და გაერთიანებულ შტაბს შორის, მკვეთრად უნდა გაიზარდოს სამხედრო საქმე და სამოქალაქო პოლიტიკური ფუნქციები;

6. საჭიროა, ჩამოყალიბდეს მართვის, კოორდინაციისა და კონტროლის მექანიზმი შესაბამისი კონკრეტული ფუნქციებითა და მოვალეობებით. მნიშვნელოვანია პოლიტიკური ვერტიკალის ისე შექმნა, რომ ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკის განსაზღვრაში მაქსიმალურად მონაწილეობდეს ქვეყნის პოლიტიკური სექტორი, რამდენადაც ქვეყნის თავდაცვა და უსაფრთხოება არ არის რომელიმე პოლიტიკური ძალის ან პარტიის ვინაობა ვალდებულება ან ინტერესი;

7. აღსადგენია საპაერო და სანაპირო თავდაცვის ძალები. ეს უკანასკნელი უნდა დაუბრუნდეს შეიარაღებულ ძალებს და მჭიდროდ იქნეს ინტეგრირებული სახმელეთო სანაპირო თავდაცვის სისტემასთან. მკვეთრად უნდა გამოიყოს "ოპერაციული მართვის ცენტრის" ფუნქციები. იგი მშვიდობიანობის დროს ანგარიშგაუკეთებული იქნება სხვა ძალოვან უწყებებთან კოორდინაციის, ერთობლივი წართვისა და მომზადების საკითხებზე, ხოლო საომარი მოქმედებების დროს, მისი ფუნქცია იქნება არსებული ძალების მართვა სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე. აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს კრიზისების დროს პოლიტიკური პირების მხრიდან მის საქმიანობაში ჩაურევლობა.

8. ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები პირდაპირ მიგვანიშნებს ძლიერი სამხედრო სარეზერვო სისტემის არსებობის აუცილებლობაზე. საჭიროა სამხედრო სავალდებულო სამსახურის სრული რეფორმირება და მისი სარეზერვო სამსახურის პოტენციალ გარდაქმნა, რომელიც უმთავრეს როლს ეროვნული გვარდნიის დეპარტამენტი შეასრულებს;

9. რეზერვი სამხედროსამსახურგავლილმა და არა რამდენიმე დღის მომზადების მქონე, გამოუცვლელმა კონტინგენტმა უნდა შეადგინოს.

სამხედრო სავალდებულო სამსახური გახდება წმინდა. შესაბამისად, მოხდება ორჯერ მეტი წვევამდელის განცევა და მათი პოტენციურ სამხედრო რეზერვისტებად მომზადება;

10. საჭიროა სამოქალაქო თავდაცვის ეფექტიანი სისტემის შემუშავება, რომელიც მთლიანად ქვეყნის თავდაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და მასში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

11. შემუშავდება სამოქალაქო თავდაცვის ეფექტიანი სისტემა, რომელიც მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილი იქნება;

12. საჭიროა საინფორმაციო უსაფრთხოების დოქტრინის შექმნა, რომელიც დაეყრდნობა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითად პრინციპებს და მოახდენს საინფორმაციო უსაფრთხოების მართვას;

13. მნიშვნელოვანი ამოცანაა სამხედრო მოსამსახურეთათვის, ერთი მხრივ, ღირსეული სამუშაო პირობების შექმნა, მეორე მხრივ კი, მათთვის და ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ადეკვატურ სოციალურ გარანტიებზე ზრუნვა. გარანტირებული უნდა იყოს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზვევაც;

14. შესაქმნელია დასავლური ტიპის სამხედრო კარიერული სისტემა. მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ჯარში გენდერული ბალანსისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის საკითხებს. კონტრაქტები თანაბრად გაითვალისწინებს როგორც სახელმწიფოს, ისე სამხედრო მოსამსახურის უფლებებსა და მოვალეობებს;

15. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სამხედრო განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება. თავდაცვის ეროვნული აკადემიის განვითარება და მისი ნაწილის სტანდარტების დონის უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბება უნდა გახდეს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამხედროების მიერ თანამედროვე პროფესიებისა და უნარ-ჩვევების დაუფლება. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს სამხედრო პირების პროფესიული გადამზადება მათი შემდგომი დასაქმების მიზნით;

16. ძირეული რეფორმა უნდა განხორციელდეს სამხედრო და ომის ვეტერანების უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის სისტემაში. იგი უნდა ითვალისწინებდეს სოციალური დახმარების, პროფესიული კვალიფიკაციისა და დასაქმების კომპონენტებს;

17. საჭიროა, შეიქმნას სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტი, გადახედოს იქნეს სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დარღვევის ყველა საქმე, გადაისინჯოს პრეტენზიები პენსიების დანიშვნის კანონიერების საკითხებზე;

18. დაბოლოს, ნატოში ინტეგრაციის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა შესაბამისი რეკომენდაციების უზრუნველსაყოფად.

განათლება და მისწინება

ხელისუფლების მიერ გახორციელებული განათლების სისტემის რეფორმა, მათივე განცხადებით, მიზნად ისახავდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სისტემის შექმნას, მაგრამ არაპროფესიონალური, ნაქარვეი, უპასუხისმგებლო, ფასადური და სუბიექტურ ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად ქვეყანა უმწვავესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

განათლების სისტემა პოლიტიკურულია და ის პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ფუნქციონირებს.

უკიდურესად შეზღუდულია საგანმანათლებლო დანესებულებათა ავტონომია; პოლიტიკური მიზანშეწონილობის საფუძველზე ინიშნებიან/აირჩევიან პირები საგანმანათლებლო დანესებულებათა საკვანძო თანამდებობებზე; საგანმანათლებლო დანესებულებები (როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური თანამდებობის პირები) სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედების პირობებში საქმიანობენ;

პოლიტიკური ლოიალურობის საფუძველზე განხორციელებული საკადრო პოლიტიკის შედეგად, მთელ რიგ შემთხვევებში, საგანმანათლებლო დანესებულების მიღმა დარჩნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე (მათ შორის - ახალგაზრდა) პედაგოგები;

მმართველი პოლიტიკური ძალის ზემოქმედების ერთ-ერთი ინსტრუმენტის, მანდატურის ინსტიტუტის ამოქმედებით, სკოლა პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ფუნქციონირებს; სკოლა გადაიქცა (დირექტორები, მასწავლებლები) ხელისუფლების ხელში არჩევნების გაყალბების ინსტრუმენტად; შეზღუდულია სტუდენტთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში და მათი შესრულების პროცესში; სტუდენტური თვითმმართველობები ფაქტობრივად არიან მმართველი პოლიტიკური ძალის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლობები. არაეფექტიანია განათლების სისტემის მართვა.

განათლების მიმდინარე რეფორმა არ ითვალისწინებს ქვეყნის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს; არ არსებობს სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმები;

სამართლებრივი რეგულაციების მცირეობა და ხშირი ცვლა არ იძლევა ნორმალიზაციას და ხარისხიან სწავლის, სწავლების, კვლევისა და მართვის საშუალებას; სისტემა უკიდურესად ცენტრალიზებულია; ფორმალურია საგანმანათლებლო დანესებულებების მართვის ორგანოების ფუნქციონირება; მწირია და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისაგან მკაფიოდ არ არის გამოიზრული განათლების განხორციელების ორგანოები თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციები. მწირია განათლების დაფინანსება.

განათლება ხელისუფლებისთვის ნაკლებად პრიორიტეტული სფეროა, მცირეა საბიუჯეტო დაფინანსება; დაბალია განათლების სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი; საგანმანათლებლო დანესებულებათა დაფინანსების არსებული მოდელი და სკოლების ბრუნდრების ჩატარების წესი ქმნის არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს და განათლების მიღების არათანაბარ შესაძლებლობებს. დაბალია განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა.

გაგრძელება ა-5 გვერდზე

გაერთიანებული ოცნება

კურიისში ის ვინც იტყობს, ის ვინც იტყობს!

41

გაერთიანებული ოცნება

გაერთიანებული ოცნება

თამარ ჭკუასანი



გურიაში რა ვინდობა, თუ იცნებ არ ვინდობა!

41

როსტოვის მუხრანის ქანობი

თამარ ჯანაშია

ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" საარჩევნო პროგრამა

ა-4 გვერდიდან

უკიდურესად არათანაბარი და შეზღუდული სკოლამდელი აღზრდა-განათლების, ზოგადი პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა როგორც ტერიტორიული და ფინანსური, ისე ხარისხიანი განათლების მიღების თვალსაზრისით; განათლებას ვერ იღებს ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა; ხშირ შემთხვევაში, განათლების ხარჯების დასაფარავად მოსახლეობას მისთვის საარსებოდ მნიშვნელოვანი ხარჯების შემცირება უწევს;

საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სრულფასოვან ინტეგრაციას.

არ არის უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო პირობები - პედაგოგებსა და აკადემიურ პერსონალს არა აქვს სათანადო კვალიფიკაცია, დაბალი ხარისხისაა და მაღალი ფასი აქვს სახელმძღვანელოებს და აკადემიური თვითმმართველობების საქმიანობა. არააფექტიანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობა. უმწვავესი პრობლემა უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის განვითარების უზრუნველყოფის მქონე პირთა - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაცია; დღეისათვის ეს პროცესი ქაოსურად მიმდინარეობს და არ არის შედეგზე ორიენტირებული. არააფექტიანი და გაუმჭვირვალე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის მქონე პირთა/პროგრამები.

განათლების სისტემის განვითარების ძირითადი მიზანშეწონილობები

განათლება ჩვენი საარჩევნო ბლოკისთვის პრიორიტეტული მიმართულება იქნება. განხორციელდება განათლების სისტემის დეპოლიტიზება და აღმოიფხვრება პოლიტიკური რეჟიმის გავლენა.

განათლების სისტემა დაეფუძნება დემოკრატიულ ღირებულებებს და გათავისუფლდება ოლიგარქული ავტორიტარული მმართველობისა და პირად ერთგულებაზე

დაფუძნებული მართვის პრინციპებისაგან; კანონმდებლობით გარანტირებული იქნება საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიის მაღალი დონე; შეიცვლება მანდატურის ინსტიტუტის შინაარსი; მანდატური, როგორც სკოლის თანამშრომელი, დაიცავს სკოლის უსაფრთხოებას, სკოლის დებულებისა და ადმინისტრაციის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად; გაუქმდება გადამსამართების (რეფერალის) წესი და შესაბამისი ინსტიტუტები, რაც გამოირიცხავს რთულად აღსაზრდელი ბავშვების სოციალური ჯგუფების ხელშეწყობა; შეიქმნება ყველაპირობა, რომ რთული ქცევის ბავშვებმა განათლება სკოლაში მიიღონ;

ალიკვებება სტუდენტური თვითმმართველობებზე ზემოქმედების მქონე პირები ვინც პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობა კანონისა და თვითნებური დებულების ფარგლებში. შეიქმნება განათლების სისტემის ეფექტიანი მართვის მქონე პირები;

განათლების სისტემის მართვა არა ფასადურ, არამედ თანამიმდევრულ და შედეგზე ორიენტირებულ მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიულ დაგეგმვას დაეფუძნება;

გადაისინჯება და დადგინდება განათლების სფეროში სახელმწიფო ორგანოების (მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს) უფლებებისა და მოვალეობების გონივრული და ეფექტიანი თანაფარდობა;

გაიზრდება და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისაგან მკაფიოდ გაიმიჯნება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები განათლების სფეროში; მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის პროცესის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია იქნება სკოლების დაარსება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად (შემდგომში - სსიპ), ასევე მათი დაფინანსება და კონტროლი; რეგიონს გადაეცემა უფლებამოსილებები (დაფუძნება, დაფინანსება, კონტროლი) პროფესიული განათლების სფეროში; კანონმდებლობით განისაზღვრება სახ-

ელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების უფლებამოსილება მხოლოდ სსიპ-ის ფორმით; გაუქმდება რეგენტთა საბჭო; გაუქმდება სკოლების ბრენდირების წესი; სკოლების წარმატებული ფუნქციონირება, მასწავლებლის კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებასთან ერთად, დაეფუძნება ზოგადი განათლების სფეროში ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაძლიერებასა და თემის აქტიური მონაწილეობას; შეიქმნება როგორც სკოლებს, ისე მასწავლებელთა შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მექანიზმები;

შეიქმნება ობიექტური, გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმები საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვალიფიკაციური კადრების შესანარჩუნებლად/მოსაზიდად როგორც ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, ისე აკადემიურ და სხვა პოზიციებზე; დაცული იქნება მასწავლებლის, პროფესორის, მეცნიერის შრომის უფლება და მათ ვერავინ გაათავისუფლებს/გადაიძირებს პირადი თუ პოლიტიკური მოტივების გამო; განათლების სტრატეგიის განხორციელების შედეგად დაიწყება საზღვარგარეთ ე.წ. "გაღიწვნილი ტენიების" უკან დაბრუნების პროცესი;

კანონით დადგინდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ პედაგოგიური, აკადემიური და/ან სამეცნიერო გამოცდილება; სკოლის დირექტორი იქნება არა მხოლოდ მენეჯერი, არამედ ამავე სკოლის მასწავლებელიც. ეს უზრუნველყოფს მის მიმართ მასწავლებელთა ნდობის ამაღლებას და მათ ეფექტიან თანამშრომლობას; სკოლის დირექტორს აირჩევს პედაგოგიური საბჭო; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს რეალურად აირჩევს აკადემიური საბჭო სრული პროფესიონალისაგან;

უზრუნველყოფილი იქნება მშობლების (მშობელთა საბჭოს შემთხვევაში) ეფექტიანი მონაწილეობა სასკოლო გეგმის შემუშავებაში, სკოლის საქმიანობის ანგარიშის განხილვასა და შეფასებაში;

ხელი შეეწყობა მშობელთა კომიტეტების შექმნას ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე და მათ ეფექტიანი

ფუნქციონირებას; სახელმწიფოსთან ერთად, ბავშვის უფლებების (მათ შორის განათლების უფლების) უპირველესი დამცველი იქნება მშობელი;

განხორციელდება განათლების სისტემის ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოება დაინერგება შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკა და მეთოდოლოგიები;

უზრუნველყოფილი იქნება განათლების პროგრამული ბიუჯეტის შედგენა;

შემუშავდება საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული გეგმების შედგენა და საქმიანობის ანგარიშის მომზადების ერთიანი მეთოდოლოგიები;

განხორციელდება განათლების სისტემის მოუკერძოებელი ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება; უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დოკუმენტების საჯაროება. განათლების სისტემის მონიტორინგი და შეფასება მიმართული იქნება არა სისტემაში სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელების, არამედ ხარვეზების გამოსწორებისა და განვითარების მიმართულებების დასახვისკენ;

შეიქმნება და განხორციელდება რეფორმის პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობის მექანიზმები; ინფორმაცია განათლებისათვის გამოყოფილი ხარჯებისა და საგანმანათლებლო სისტემის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი გახდება საზოგადოებისათვის. შეიქმნება განათლების დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმები.

განათლების დაფინანსების წესი, ფორმები და ოდენობა შექმნის ადამიანური რესურსების უწყვეტი განვითარებისა და განათლების სისტემის პროინოვაციულობის, მდგრადობის, განვითარების, ეფექტიანობისა და განათლების კონსტრუქციული უფლების რეალიზების სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებს;

გაიზრდება სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით;

განათლების საერთო ხარჯების ზრდასთან ერთად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მნიშვნელოვნად მოიმატებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, ამაღლდება მათი სოციალური სტატუსი და პრესტიჟი; მასწავლებელს ექნება ღირსეული ცხოვრების პირობები;

გადაიხედება განათლების დაფინანსების "ეუჩერელო" წესი (როგორც დაფინანსების ძირითადი წყარო) და იგი შეიცვება საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების სხვა კომპონენტებით;

სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტის საყოველთაო ზოგად განათლებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

გაიზრდება სკოლამდელი აღზრდა-განათლებისათვის, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლებისათვის გამოყოფილი ხარჯები; შესაბამისად, გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა ყველა საფეხურზე;

სახელმწიფო განახორციელებს როგორც საჯარო, ისე კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იმ დოქტორანტთა მხარდაჭერის (წახალისების) პროგრამებს, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული მიღწევებით. გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა.

განათლების უფლების რეალიზაცია ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს მისცემს განვითარების რეალურად თანაბარ შანსს, რაც თავის საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის დაძლევის შესაძლებლობას;

შემუშავდება და დამტკიცდება სათანადო (მათ შორის, ტერიტორიული ხელმისაწვდომობის) სტანდარტები; საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნა/რეორგანიზაცია განხორციელდება არა სუბიექტური ინტერესების შესაბამისად, არამედ ამ სტანდარტების გათვალისწინებით;

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობები უზრუნველყოფენ ქართულ ენაზე სკოლამდელი აღზრდა-განათლების ხელმისაწვდომობას;

სოფლებისა და ქალაქებისათვის დაწესდება სკოლის ტერიტორიული ხელმისაწვდომობის სტანდარტები; სტანდარტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსწავლეებს ექნებათ შედეგადად ტრანსპორტით სარგებლობისას; სახელმწიფო განსაკუთრებულად იზრუნებს მაღალმთიანი რეგიონების მცირეკონტინენტური სკოლების ფუნქციონირებაზე;

შეიქმნება (ასევე, თითარგმნება) და მოსწავლეებისათვის/სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე;

პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტობისათვის შემუშავდება და განხორციელდება განათლების ფინანსური ხელმისაწვდომობის სხვადასხვა მექანიზმები (სსიპ-ების საბაზო დაფინანსებასთან ერთად, სტუდენტთა გრძელვადიანი და კერძოებრივი მისამართული ეფექტიანი სოციალური დახმარებისა და დასაქმების პროგრამების განხორციელება, საერთო საცხოვრებელი უზრუნველყოფის ხელშეწყობა და სხვ.); განისაზღვრება სტიპენდიების გაცემის წესი;

ამა თუ იმ პროფესიის დაუფლებისა და ამ პროფესიის დასაქმების თითოეული მსურველისათვის ხელმისაწვდომი იქნება პროფესიული განათლება; უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული განათლების ტერიტორიული ხელმისაწვდომობა; ჩამოყალიბდება შრომის ბაზრის რეგულატორული კვლევისა და საზოგადოების ინფორმირების სისტემა;

უზრუნველყოფილი იქნება ეროვნული უმცირესობებისათვის ქართული ენის სწავლება და, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სრულად იქნება რეალიზებული მათთვის ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლება;

განხორციელდება შედეგზე ორიენტირებული მიზნობრივი პროგრამები, რაც შექმნის თითოეული სპეციალური საჭიროების მქონე პირისათვის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ე.წ. "ქუჩის ბავშვების") განათლების ხელმისაწვდომობის რეალურ გარანტიებს;


საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ექნება მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების შესაძლებლობა; ხელი შეეწყობა ელექტრონული სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას ამაღლდება განათლების ხარისხი. განათლების ხარისხი დაეფუძნება ქართულ ისტორიულ დასავლურ სტანდარტებსა და გამოცდილებას;

კანონმდებლობით უზრუნველყოფილი იქნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დამოუკიდებლობა ცენტრალური მართვის ორგანოებისაგან; ეროვნული ცენტრის ფუნქცია იქნება ხარისხის გარე შეფასება, ხარვეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის ხელშეწყობა ღონისძიებების განსაზღვრა/უზრუნველყოფა (უკიდურეს შემთხვევაში, ავტორიზაცია/აკრედიტაციის გაუქმება);

არსებითად გადაისინჯება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოქმედი წესი; ავტორიზაცია/აკრედიტაციისას უზრუნველყოფილი იქნება აუცილებელი გამოვლენა და ობიექტური ინდიკატორების გამოყენება, ასევე დარგობრივი და შინაარსობრივი მხარის შეფასება;

განათლების ხარისხის განვითარება უზრუნველყოფილი იქნება სამი აუცილებელი კომპონენტის თანაარსებობით:

გაგრძელება ა-6 გვერდზე



ბლოკი "გიონა ივანიშვილი – ქართული ოცნება" საარჩევნო პროგრამა

ა-5 გვერდიდან

ა) ეროვნული სასწავლო გეგმა/საგანმანათლებლო პროგრამები (დარგობრივი მას-სიათებლები);

ბ) პედაგოგიური/კადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაცია;

გ) ხარისხიანი სახელმძღვანელოები.

სკოლამდელი დასწავლულებსათვის შემუშავდება და დანიერდება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გეგმა და პროგრამები; უზრუნველყოფილი იქნება საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა სათანადო კვალიფიკაცია; არსებითად გადაისინჯება ეროვნული სასწავლო გეგმა, აგრეთვე ამ გეგმით განსაზღვრული როგორც სწავლა-სწავლებისა და საათობრივი განაწილების ძირითადი პრინციპები, ისე საგნობრივი პროგრამები; სკოლას დაუბრუნდება აღმზრდელობითი ფუნქცია; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართული ენის, როგორც ცალკე საგნის, სწავლებას; სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კლასში მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრება არა უმეტეს 25 მოსწავლის;

შეიქმნება კვალიფიკაციის ამაღლების მდგრადი და ეფექტიანი სისტემა – უზრუნველყოფილი იქნება მასწავლებლების/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულ მოთხოვნებთან; განხორციელდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი პროგრამები; ხელი შეწყობა მასწავლებლის მოტივაციისა და შესაძლებლობების გაზრდას, იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამაღლება უმაღლესი საგანმანათლებლო დასწავლულების სამეცნიერო პოტენციალი.

შეიქმნება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის ხელშეწყობის ეფექტიანი სამართლებრივი, ინსტიტუციური და ფინანსური მექანიზმები; განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დასწავლულების უმნიშვნელოვანესი როლის საკანონმდებლო რეგლამენტაცია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების სფეროში;

სათანადო პროგრამები/დონისძიებები გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა შესაბამის სახელმწიფო სტრატეგიაში; ამ სტრატეგიაში დასახული მიზნებისა და ამოცანების შედეგები გაანალიზდება სწავლებისა და კვლევის შედეგების საერთაშორისო ინდიკატორების შესაბამისად; განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დასწავლულების სამეცნიერო საქმიანობის საბაზო დაფინანსების სახელმწიფო პროგრამა; ამ დაფინანსების ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დასწავლულებს ექნება სამეცნიერო პროორიტეტების განსაზღვრის უფლებამოსილება, გაიზრდება მეცნიერთა შრომის ანაზღაურება;

სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის/ფონდების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დასწავლულების მეცნიერთა პროექტების საგრანტო დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფოს პროორიტეტების შესაბამისად, ობიექტური და გამჭვირვალე შეფასებისა და დაფინანსების ნების საფუძველზე; შემუშავდება და განხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დასწავლულების მიერ სამეცნიერო კვლევებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ეფექტიანი მექანიზმები.

მეცნიერება

არსებული ხელისუფლების პირობებში ქართული მეცნიერება და მისი განვითარება არ არის პროორიტეტული. მეცნიერებისადმი არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულება მხოლოდ მისი მნიშვნელობის დაფინანსებით არ შემოიფარგლება. ნების განმავლობაში სამეცნიერო და

კვლევითი ინსტიტუტები მიზანმიმართულად დაიხურა, მკვეთრად შემცირდა მეცნიერების დაფინანსება. საპრევატიზაციო ობიექტების ნუსხაში მოხვდა არა ერთი სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულება, რომელთა გასხვისებას მოჰყვა მეცნიერთანამშრომელთა უმუშევრად დარჩენა და ქვეყნის ინტელექტუალური ძალის საზღვარგარეთ გადინება. განყვეტილია კავშირი მეცნიერებს შორის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. კატასტროფულად მცირეა იმ ახალგაზრდების ნილი, რომლებიც აკადემიურ კარიერას ირჩევენ. სახელმწიფომ, თითქმის, სრულად მოიხსნა პასუხისმგებლობა ქვეყანაში მეცნიერების განვითარებაზე.

მოიშალა მეცნიერული ცოდნის ფორმირების ინტეგრირებული სისტემა. ახალი სისტემის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია ცოდნის განახლება, გაზიარება, მისი აკუმულირება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა. ამ მიზნებისთვის საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება.

მეცნიერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

შემუშავდება სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის კუთხით; მეცნიერება გახდება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველი; ჩვენ მიერ განსაზღვრული პროორიტეტების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზრდება მეცნიერების დაფინანსება; მოხდება ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევათა ორგანიზებისა და მხარდაჭერის ახალი, ევროპული ტიპის სისტემის ფორმირება; თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სამეცნიერო კვლევების უზრუნველყოფად შეიქმნება ქვედითი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას, მეცნიერების მუდმივ განვითარებას და მის ინტეგრაციას ერთიან სამეცნიერო სივრცეში; უზრუნველყოფილი იქნება სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება, კვლევითი დაწესებულების ამაღლება, ახალგაზრდობის ჩართვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ქვეყნის მეცნიერების ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში; შეიქმნება მეცნიერების სფეროში შედეგზე ორიენტირებული საგრანტო დაფინანსების სისტემა; სახელმწიფო ხელს შეუწყობს ქართული მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში, მათ შორის, ერთობლივ კვლევით საქმიანობას, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ფორმით; მეცნიერების სისტემა უნდა დაეფუძნოს არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მართვას უშუალო მონაწილეობას მიიღებენ ამ დაწესებულების წარმომადგენლები; ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად გამოცხადდება ნიჭიერი ახალგაზრდების მეცნიერებაში მოზიდვა.

კულტურა და სპორტი

კულტურა ქვეყნის მსოფლიო ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია და იგი საგანგებო სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს. დღეს უკიდურესად მცირეა ბიუჯეტიდან კულტურისათვის გამოყოფილი თანხა. მოუწესრიგებელია კულტურის საკანონმდებლო ბაზა.

დღევანდელი ხელისუფლების კულტურის პოლიტიკა ძირითადად იდეოლოგიზებული და პოლიტიზებულია.

კულტურის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

კულტურის სფეროში გასატარებელი ღონისძიებების შედეგად საქართვე-



ლო თანამედროვე სამყაროს ღირსეული წევრი უნდა გახდეს. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ისეთი პრინციპები, როგორცაა:

საქართველოს მოქალაქეების თავისუფალი საქმიანობა კულტურის სფეროში და შემოქმედებით პროცესში ხელისუფლების ჩაურევლობის უზრუნველყოფა. უნდა გამოირჩეოს ხელისუფალთა მხრიდან ერთპიროვნული გადაწყვეტილებები; ქართული კულტურული სივრცის მსოფლიო კულტურულ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, რეაბილიტაციის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს საერთაშორისო სტანდარტების, იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით; კულტურის სფეროში დაფინანსების გაზრდა ევროკავშირის ქვეყნების ნიშნის მიხედვით; კულტურის სფეროში ეფექტიანი საკანონმდებლო ბაზის შემოღება და უნდა დაწესდეს საგანგებო პრივილეგიები კულტურაში ინვესტირების მსურველთათვის, რაც განაპირობებს დაფინანსებაში სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამონაწილეობას; საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურათა ნახალების, მათი ჩაბმა ერთიანი კულტურის პოლიტიკის განხორციელებაში; კულტურის სფეროში სახელმწიფო კონკურსების დაფუძნება და კომპეტენტური სახელმწიფო კომისიების შექმნა.

სახელმწიფო ენა

დღევანდელმა ხელისუფლებამ 2003 წლის შემდეგ გააუქმა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი კომისია.

გაუქმდა აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტს დაქვემდებარებული საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა და საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი. დაიხურა საგანგებო ენობრივი პრობლემებისადმი მიძღვნილი ტელე- და რადიოგადაცემები. ყოველივე ამის შედეგად ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსთან დაკავშირებით მძიმე ვითარება შექმნილი.

შესამჩნევად დაინია ქართული ენის სწავლების დონემ საჯარო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. თვითინებაზე მიშვებული მართლმეტყველებისა და სალიტერატურო ნორმათა დაცვის საკითხი.

არ არსებობს დადგენილი ნორმათა დამკვიდრების მექანიზმი. არ ხდება ახალ ნორმათა დადგენა სახელმწიფო დონეზე. უყურადღებოდაა მიტოვებული ტერმინოლოგიური საქმიანობა.

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს მედიის ენა. განსაკუთრებულად საგანგაშო მდგომარეობაა საარეკლამო და ქალაქის გაფორმების საქმეში.

სახელმწიფო ენის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

სახელმწიფო ენის განვითარებას დასაყვად ამჟამად ამ საკითხის კონტროლი ევალებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მაგრამ მათი კომპეტენცია და შესაძლებლობები არ არის საკმარისი.

სახელმწიფო ენაზე ზრუნვა კვლავ უნდა იკისროს სახელმწიფომ, რათა გარანტირებული იყოს ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა. უნდა შემუშავდეს და ამოქმედდეს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

არაქართულენოვან მოსახლეობასთან მიმართებით შესამუშავებელია სათანადო პოლიტიკა და ღონისძიებები. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არაქართულენოვანი მოსახლეობის ჩაბმას საერთო სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რათა მათ ქართული სახელმწიფოს სრულფასოვან მოქალაქეებად იგნოსონთ.

სპორტი

საერთაშორისო სარბიელზე, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს სახელით მოასპარევე სპორტსმენების მიღწევების, მწვრთნელებისა და სპორტის სპეციალისტების მიერ ამ საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის, მათი პროფესიონალიზმისა და თავდადებაზე შრომის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების დონე ჯერჯერობით კვლავ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ფინანსური პრობლემების, სუსტი მატერიალური ბაზისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხარისხი ყველა ტიპის სპორტულ სკოლასა და სპორტულ კლუბში საკმაოდ დაბალია.

გარდა ამისა, ქვეყანაში სპორტის განვითარების ხელშეწყობის ფაქტორებია: 1. არათავისუფალი, დაუცველი და არაკონკურენტული გარემო; 2. თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი ინვენტარის არარსებობა;

3. წვრთნისა და შეჯიბრების პროცესში თანამედროვე მიღწევების არასათანადოდ გამოყენება;

4. მწვრთნელებისა და სპორტსმენების სამედიცინო უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის არასაკმარისი ხარისხი;

5. ფიზიკური განათლებისადმი არათანამიმდევრული მიდგომები და სხვ.

სპორტის რეფორმის ძირითადი პროორიტეტებია:

სპორტის შესახებ ახალი კანონის მომზადება; სპორტის დეპოლიტიზება და დეცენტრალიზება; პირობების შექმნა იმისათვის, რომ სპორტში ჩაბმა ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობის ყველა ფენისათვის; სპორტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზება; უმაღლესი აკადემიური და საშუალო სპორტული განათლების, აგრეთვე სპორტის მეცნიერების განვითარება; სპორტული მედიცინის განვითარება; სპორტში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. ქვეყანაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების განხორციელების მიზნით უმაღლესი სახელმწიფო დაფინანსების მიზნობრივი პროგრამის დაფუძნება; საარჩევნო ბლოკის "გიონა ივანიშვილი – ქართული ოცნების" მიერ წარმოდგენილი საარჩევნო პროგრამა განსაზღვრავს იმ სტრატეგიულ მიმართულებებს, რომელთა განხორციელების შედეგად ქვეყანაში დაიწყება ფართომასშტაბიანი რეფორმები. ამ პროცესში მნიშვნელოვნად შეიცვლება საკანონმდებლო ბაზა, ასევე განისაზღვრება ქვეყნის უახლოესი, საშუალო და გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკა. ამ პროგრამის ძირითადი მასსათბებელი არსებობს სახელმწიფო ბიუჯეტში და გახდება ქვეყნის მასშტაბით ძირითადი რეფორმების გატარების წინაპირობა.



ჭირისუფალთა საყრდენად! რადაქმნის ინიციატივით, გაერთ "გურია ნიუსი" მოსახლეობის ყველა მონათლული და წესდებულის მიხედვით, ორ თვეში ერთხელ, მოსახლეობის წინაშე იწარმოება და ახალსახელებს ტაქსი, აღსრულება შედეგითი წიკა.

გურია

(მია) სისარულია

აფხაზეთში გმირულად დაეცა!



შვილო, ლექსები გიყვარდა, მეც შენი ლექსით დავიწყებ წერას...

ლობს, რა გეტყობა? საქართველოსთვის ქართველი ბიჭი ომში მიდის და გმირულად კვდება. 1992 წელს გმირულად დაეცა ამ ლექსის ავტორი - გია სისარულიძე, აფხაზეთში, ჩოხატაურელ ბიჭებთან ერთად. შენი მშობლები 20 წლის მანძილზე, გულდათუთქული, სიყვარულით ვიგონებთ, შვილო, შენს ღიმილიან სახეს. ჩვენი სიცოცხლე შენი შვილებისთვის შემოვიწინებთ, შვილო. მეუღლე შრომით ემსახურება შენს სახელს. შენი ტანჯული მშობლები მზად ვართ შენთან შესახვედრად, რათა მოისვენონ ჩვენმა სულელებმა. ბოლოს კიდევ დანერე ლექსი: "არა, არ შევარჩენ მტერს, ბილწ გადამთიელს სისხლს საქართველოს მამაცი შვილების, შურის საძიებლად ქვეყანა ამდგარა და მეც საბრძოლველად მივეშურები". შვილო გია, უფალს ვევედრებით, უშედეგოდ არ დაიკარგოს შენი და შენი მეგობრების სამშობლოსათვის შენი შვილი სიცოცხლე და მალე დადგეს დრო, როცა საქართველო დაიბრუნებს იმ მიწას, რომლისთვისაც უამრავი ქართველი ვაჟკაცის სისხლი დაიღვრა.

გიას მშობლები

ვაჟა თორანი



15 წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან, ვაჟა. ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე მამა და დიდი იმედი იყავი, შენი ოჯახის, ახლობლების, მეგობრების და შენი ერთადერთი დის - ნანას (კუსანას), რომელმაც შენს სიკვდილს ვერ გაუძლო, გულმა უმტყუნა და ისიც შენთან ერთად იმყოფება სასუფეველში. ძნელი დარჩა ცხოვრება შენ გარეშე ჩემთვის. სამი შვილი დატოვე ამ ქვეყნად. ექვსი შვილიშვილი და სამი შვილიშვილი გაყავს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი და შენი დის სულები.

მეუღლე, შვილები



მეუღლე გურამი, შვილები გონა, რაჟდენი, რძლები ნინო, ქეთევანი, ინეზა, შვილიშვილები გურამი, ირაკლი, თორნიკე, ძმა ომარი, დები არიშა, ლილი, მული ნუნუ, დისშვილები, ძმისშვილები ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნილირა ვაჟაშვილი-აკოპოვი

პანაშვიდი: 29 IX. დაკრძალვა: 30 IX. ოზურგეთი, სოფელი ასკანა.



ქეთონი, თემურ გიორგაძეები ოჯახით იუნწყებიან ბიძის

ბრიშა ანთაიში

გარდაცვალებას და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.



ომარ, მია, ზვიად, ბაჩუკი მამალაძეები ოჯახებით იუნწყებიან დისა და მამიდის

ნილირა ვაჟაშვილი-აკოპოვი

გარდაცვალებას.

მერი მეფარიშვილი შვილებით, დიდი გულსტკივილით იუნწყება ღირსეული და ღვანლმოსილი პიროვნების

ბრიშა ანთაიში

გარდაცვალებას და თანაუგრძობს შვილებს, ყველა ახლობელს.

ვიზიარებთ თამარიკოს, ნარგიზას და თემურის მწუხარებას

ირაკლის

გარდაცვალების გამო.

ვაჟა პაიჭაძის ოჯახი

ნიკა მგალობლიშვილი ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუნწყება

ირაკლი ჯინჭარაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

ამირან სიხარულიძე ოჯახით, ღრმა მწუხარებას უცხადებს ნათლიას, გივი ანთაიშს მამის

ბრიშა ანთაიში

გარდაცვალების გამო



ერკეთის საშუალო სკოლის 1991 წლის კურსდამთავრებული იუნწყებიან თანაკლასელის

ირაკლი ჯინჭარაძის

გარდაცვალებას.

მეუღლე ნათელა ლომჯარია, შვილი ვაჟა, შვილიშვილი ნათია, რძალი მარინა ნიკოლაიშვილი, და აზა, ძმისშვილები დათო და ნინელი კალანდაძეები ოჯახებით იუნწყებიან

ამინა

კალანდაძის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 29 IX.

ოზურგეთი, თაყაიშვილის 42 ა.



დარეჯან მგალობლიშვილი ოჯახით იუნწყება

ირაკლი

ჯინჭარაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

ილო მეგრელიძე ოჯახით იუნწყება უღრესად კეთილშობილი პიროვნების, ოჯახის ახლობლის

ჯუშუა

მეგრელიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.



ზურაბ ჯინჭარაძის ოჯახი გულსტკივილით იუნწყება საყვარელი ახალგაზრდის

ირაკლი ჯინჭარაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძობს ოჯახს.

ვან-ზომლეთის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები თანაუგრძობენ ციური ბაზიერს ბაბუს

ბიჭიკოს

გარდაცვალების გამო.

მამია ტულუში, სულიკო დოლიძე ოჯახებით იუნწყებიან

ბიჭიკო ჟღანბის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილებს.

შვილი ნათია ჟღანტი, სიძე ბორია ფეოდოროვი, შვილიშვილები მეგი, დათო, მძახალი იზო ფეოდოროვა იუნწყებიან, რომ გარდაცვალება

ბიჭიკო ჟღანტი.

გამოწერეთ გაზეთი "გურია ნიუსი" თბილისში ადგილზე მიწვანი. დარეკეთ! 2 38 26 73, 2 38 26 74, 2 38 26 76

გთავაზობთ მეტალო-პლასტმასის და ალუმინის კარ-ფანჯრებს, ფალუზებს, ვიტრაჟებს, მინას, მინა პაკეტს, მწერებისგან დამცავ ბადებს. ვაკუუმით განვადებთ. ტელ: (551) 769067, (790) 240820, (558) 775513.

შპს "მარულა +"-ს ესაჭიროება კომპიუტერის მცოდნე თანამშრომელი. ტელ: (790) 240320.

ოყიდება! სახარატო, ხრახნმჭრელი ჩარხი, "1ხ62ე" მოდელის. ფასი შეთანხმებით. ტელ: (557) 310420, (568) 923433.

ალუმინის ღარიანი თუნუქი, 2X1-ზე, 95 ცალი. ტელ: (568) 413656, (790) 954854.

ღვინის, 3-10-20-ლიტრიანი, მინის ბოთლები. ორკარბონიანი გარდერობი, რუმინული, კარგ მდგომარეობაში. ხის კიბეები (ფასი 25 ლარი). ჩოხატაური, ჩიჩუას 29. ტელ: (593) 974205, ეთერ ხუნდაძე.

60 კვმ. თუნუქის სახურავი, კრამიტისებური. ცალი - 15 ლარი. ტელ: (593) 255295.

პემზა ბლოკი, "პაიდელბერგ" ცემენტი. ტელ: (555) 005134, (555) 327138.

3 ფაზა, ბრონირებული (მინისქვეშა) სპილენძის კაბელი, 3X10 მმ-ზე, 100 გრ.მ. ფასი 3 ლარი. ტელ: (557) 310420, (568) 923433.

აკაციის მესერი, მეორადი, გადარჩეული, იფადა. ჩოხატაური, ტელ: (598) 388660, (790) 378660.

სასიმინდე, ყელური 2.5X2.5-ზე, სრული კომპლექტი. მარმარილოს თეთრი ფილები, 6 კვმ. ტელ: (557) 310420, (568) 923433.

ინვალიდის ეტლი, ახალი. ფასი შეთანხმებით. ტელ: (555) 187781.

უფასო განცხადებები

3-ფაზიანი ნისქელი, რკინის ჩარჩოში ჩასმული, 50X25-ზე, აწყობილი, მუშა მდგომარეობაში. ტელ: (577) 285209.

40-იანი კუთხოვანი ("უგოლინიკები"), 41 მეტრიანები. 200 კვ. "ცოლიკური". ჩოხატაური, ტელ: (790) 992607.

ნითელი აგური, მეორადი. რკინის ჭიშკარი, თავისი ბოძებით. ნაბლის ხის მასალა კარ-ფანჯრებისთვის. ტელ: (790) 944746.

რკინის ჭიშკარი, მეორადი, 2.10X2-ზე. ტელ: (599) 141703.

სასწრაფოდ, ძველებური ოდა-სახლი, 3-ოთახიანი, თბილესით და აკაციის ხეებით გაშენებული ეზოთი. ფასი 3500 ლარი. ჩოხატაური, სოფ. ამაღლება. ტელ: (599) 725318, (597) 102242.

ორსართულიანი, კაპიტალური სახლი, 1500 კვმ. ხეხილით გაშენებული ეზოთი, ეზოში ჭით, გაზის შეყვანის პერსპექტივით. ჩოხატაური, თბილისის ქუჩა №8. ტელ: (555) 473451, (555) 185767.

ორსართულიანი სახლი, პირველი სართული ქვის, მეორე - ნაბლის ხის, ავეჯით, თუნუქით დახურული, დამხმარე ნაგებობებით, ხეხილით გაშენებული ეზოთი, 4500 კვმ. საყანე ფართობით. ჩოხატაური, სოფ. ზემოფარცხმა (სურების მიმართულებით). ტელ: (577) 427469, (790) 320628.

3-ოთახიანი ბინა, ბუნებრივი აირით, წყლით, ავტოსადგომით, სათავსოებით, პირველ სართულზე 27 კვმ. საცხოვრებელი ფართით, მინის ნაკვეთი. ჩოხატაური, რუსთაველის 4-ა, III სადარბაზო, II სართული, ბინა 20. ტელ: (593) 757254.

ჩოხატაურში, სოფ. საყვავისტყეში, ნაბლის ხის სახლი, 3-ოთახიანი, შემინული აივნით, რკინის კარით, პირველ სართულზე სარდაფით, ტუალეტით, ალუმინის თუნუქით დახურული, 3 ბუხრით, დიდი სამზარეულო ოთახით, თბილის ბაღით, აკაციის ტყით და საყანე ფართობით, სულ 12000 კვმ. ეზოში წყაროს წყლით. ტელ: (593) 941346, (599) 544192.

ჩოხატაურში, სოფ. ხიდისთავში, ეზო, ცენტრთან და მდინარესთან ახლოს, თბილესით და "ცოლიკური" გაშენებული. ტელ: (593) 229301, (790) 305965.

2-სართულიანი, კაპიტალური სახლი, 1 ჰა მიწის ნაკვეთით, თბილესით, ვენახით გაშენებული ეზოთი. გაზის შეყვანის პერსპექტივით. ჩოხატაური, სოფ. ახალმენი, ტელ: (591) 287441.

ჩოხატაურში, ჩიჩუას 29-ში, 2 ბელეტაჟი სახლი ერთ ეზოში, აივნებით, ორი დიდი, ორი პატარა ოთახებით, დამხმარე ნაგებობებით, 4500 კვმ. მიწის ნაკვეთით, თბილის ძველი და ახალი ნარგავებით, ხეხილით და ვენახით გაშენებული. ფასი შეთანხმებით. ფასი 23000 დოლარი. შეიძლება თანხის თანდათანობით დაფარვა. ტელ: (593) 974205, ეთერ ხუნდაძე.

ჩოხატაურის ცენტრში, საავადმყოფოს უკან, საკარმიდამო ნაკვეთი, მშენებარე სახლით, წყლით, გაზის შეყვანის პერსპექტივით, ხეხილით და თბილესით გაშენებული ეზოთი, კაპიტალური ღობით. ჩოხატაური, ჩიჩუას №1, ტელ: (568) 802824, (599) 166389.

ჩოხატაურში, სოფელ დაბლაციხეში, 4-ოთახიანი სახლი, 1,5 ჰექტარი ხეხილით, თბილესით, ნიფელას და თხმელას ხეებით გაშენებული მიწის ნაკვეთით. ფასი 5000 დოლარი. ტელ: (593) 974205, ეთერ ხუნდაძე.

კურორტ ბახმაროში, პრესტიჟულ ადგილზე, გურის ქუჩაზე, კოტეჟი, ყველსა საჭირო საბუთით გაფორმებული. ტელ: (599) 105260.

ჩოხატაურში, სოფელ სამებაში, ქვისგან ნაშენი კუხნა სახლი, 6-ოთახიანი. ტელ: (790) 991215.

ორსართულიანი, 12-ოთახიანი სახლი, დამხმარე ნაგებობებით, 1 ჰა. მიწის ნაკვეთით, ხეხილით, თბილის ნარგავებით, ბამბუკის ხეებით გაშენებული. საყანე ფართობით. რკინის ღობით შედობილი. ოზურგეთი, სოფ. ბოხვაური (ჭალა), ტელ: (577) 285209.

რკინის ბალკები (ტ-ს მაგვარი), №20, 50 გრძივი მეტრი, უწყვეტი, 2 ცალი. №36, 10 გრ.მ. რელსი №11-100 გრ.მ. ტელ: (557) 310420, (568) 923433.

2-სართულიანი სახლი, დამხმარე ნაგებობებით, ავეჯით, ნისქელით, ავტოფარეხით. სახარატო ჩარხი. თბილისა და ხეხილის ბაღით, საყანე ფართობით, ვენახით, ტყით.

ჩოხატაური, სოფ. კახნარი. ტელ: (599) 287710, (571) 010474.

ავტომანქანის 4045 რ-ს ამ-ნე მექანიზმის ტუმბო NS-77, თავისი რედუქტორით, ახალი. ხელის ტალი 3 ტ. ტვირთამწეობის, ახალი. ტელ: (557) 310420, (568) 923433.

ავტომანქანა "გაზ-52", ტექმოსახურების, დახურულ ძარბანო (სტანდარტული), ახალი ძრავით. ტელ: (557) 310420, (591) 277611.

"მერსედესის" ფირმის მიკროავტობუსი 208, 4-იანი პლიტა-მოტორით, სარემონტო. 1990 წლის გამოშვება. ჩოხატაური, ტელ: (593) 246364.

ავტომანქანა "მოსკვიჩი-ფურგონი", კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: (592) 011252.

ავტომანქანა "უაზი", მუშა მდგომარეობაში. ჩოხატაური, ტელ: 9599) 207548.

ავტომანქანა "ოპელ ომეგა", კარგ მდგომარეობაში. ჩოხატაური, ტელ: (555) 187781.

ჩვილბოიანი, ნითელი ფერის, ძროხა, 8 ლიტრი წველადობის, მე-4 ხბოობა. ჩოხატაური, სოფ. ერკეთი. ტელ: (591) 314272.

ჩვილბოიანი ძროხა, 8 ლიტრი წველადობის. ჩოხატაური, ტელ: (790) 676578.

საუკეთესო ხარისხის ყურძენი "ცოლიკური", საუკეთესო ხარისხის. ტელ: (557) 759979, (577) 799979.

500 ლიტრი ღვინო "ცოლიკური". ტელ: (790) 271556, (599) 271556.

უფასო!

მეორად შიფერს ან თუნუქს. ტელ: (593) 300410.

ძირაგდება!

საქორნილო დიზაინი, შანდლებით. ჩოხატაური, შუა ფარცხმა. ტელ: (577) 927742, ლელა.

საქორნილო დიზაინი. ჩოხატაური, ნინოშვილის ქ. №11. ტელ: (591) 283818.

საქორნილო დიზაინი, ახალშეკერილი, ევროპული მოდელი, აქსესუარებით. ჩოხატაური, ტელ: (557) 110199.

საქორნილო დიზაინის ორი ვარიანტი, ახალი მოდელი. ჩოხატაური. ტელ: (555) 456391, (558) 567391.

სადედოფლო კაბა. ჩოხატაური, გურიის 20. ტელ: (592) 612194.

ყურადღება!

მოვამზადებ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქართულში, შეღავათიან ფასში. ჩოხატაური, ტელ: (790) 914155.

მოვამზადებ ინგლისურ ენაში. ჩოხატაური, გურიის 20, ტელ: (593) 102104, (592) 612194, (790) 979324.

მოვამზადებ მოსწავლეებს მათემატიკაში. ჩოხატაური. ტელ: (579) 752795.

ვეძებ სახლს ქირის გარეშე ან ქირით. ტელ: (551) 183446.

ვაკეთებ იატაკის, ჭერის და კედლის მოხვეწას. ტელ: (555) 516466.

უფასო განცხადების ტალონი №78 2012 წ. ტელ: (557) 310420, (568) 923433

ესპანელი, იტალიელი და ყაზახი – ლორიები

“საიდან გყავთ ესპანელი მეკარე ლორია?” – გაკვირვებულმა მკითხველმა საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებების შეხვედრამდე პრესლოჯაში ერთ-ერთმა სტუმარმა ჟურნალისტმა ესპანეთსა და ესპანურენოვან ქვეყნებში ბევრი ლორია ცხოვრობს და კიდევ ერთხელ გვახსენებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიანზე არსებულ ლეგენდას.

სწორედ ამიტომ დღეს თქვენს ყურადღებას გვარების უცნაურ დამთხვევებზე გავამახვილებთ.

იტალიელი ლორია
საქართველოს ნაკრებისა და თბილისის “დინამოს” მეკარე გიორგი ლორიას საკმაოდ საინტერესო მოგვარებები აქვას. იტალიის სერია A-ს “ბოლონიას” ირიცხება ტურინის “იუვენტუსის” გაზრდილი მცველი სიმონე ლორია, რომელსაც ბევრ ცნობილ კლუბში უთამაშია: 1995-1996 წლებში ტურინული გრანდის ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია. ხანგრძლივი პერიოდი სერია C2-სა და C1-ის კლუბებში გამოდიოდა: “ოლიანი” (1996-1997), “ბატიაბალენზეში” (1997-1998), “ნორჩინაში” (1999-2000) და “ლეკოში” (2000-2002).

ამის შემდეგ დაიწყო იტალიელი ლორიას კარიერული წინსვლა: “კალიარიდან” (2002-2005) “ატალანტაში” (2005-2007) გადაბარგდა, საიდანაც თავი “სინაში” (2007-2008) ამოყო და იქ ჩატარებული შთაბეჭდილებების შედეგად იტალიური ფეხბურთის გრანდმა, “რომამ” (2008-2011) მიიწვია. მერე იყო “ტორინო” (2009-2010), 2011 წლიდან კი “ბოლონიასა”.

კოსტარიკელი ლორია
საკუთარი ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრია ხოვ მიგელ კუბერო ლორია, რომელსაც კუბეროთი უფრო იცნობენ. 25 წლის ნახევარმცველი კოსტარიკელია – 2010 წლიდან მოყოლებული, ეროვნულ გუნდში 16 შეხვედრა ჩაატარა

და მეტოქის კარი ერთხელ აიღო. ამჟამად კოსტა რიკის პრემიერლიგის “ჰერედინოში” თამაშობს.

ყაზახი ლორიები
ყაზახეთის ნაკრებისა და პავლოდარის “ირტიშის” 30 წლის მეკარე დავით ლორია თურქეთის პირველი ლიგის “რიზესპორში” თამაშობს. ყაზახეთის ეროვნულში 38 შეხვედრა ჩაატარა, რაც ამ აზიური ქვეყნის მეკარეებში სარეკორდო მაჩვენებელია. თამაშობდა მოსკოვის ცსკა-სა და ავსტრალიური “ენფილდ სიტი ფეკონში”, შეედურ “ჰალმსტადში”, ნალჩიკის “სპარტაკსა” და ნამყვან ყაზახურ კლუბებში. საქართველოდან, გულდაუთმოდან ყაზახეთში დავითის ბაბუა ნინა საუკუნის 60-იან წლებში გადასახლდა, როდესაც საბჭოთა კავშირმა ყაზახის ათვისება დაიწყო. მამამისი, ყარალანდის “შახტარის” ადრინდელი გენერალური დირექტორი, გრიგოლ ლორია გახლავთ. დავით ლორიას დედა ყაზახეთში დაბადებული რუსია და ცხადია, ქართულად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ისტორიულ სამშობლოს ყოველთვის თბილად ახსენებს და შურაცხყოფილია კითხვით, გულშემატკივრობს თუ არა საქართველოს ნაკრებს.

ცხადია, ვგულშემატკივრობ, რადგან ქართველი ვარ და ფესვები არასოდეს დამავინწყდებათ, – ამბობს დავითი.

ბასკი ბარათელი
საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მეკარე დომინიკ ბარათელი 1947 წლის 26 ოქტომბერს ნიცაში დაიბადა. მიუხედავად შედარებით დაბალი სიმაღლისა (178 სმ), ფრანგები ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ მიიჩნევენ. საფრანგეთის ჩემპიონატში 593 შეხვედრა ჩაატარა, რაც ქვეყნის ისტორიაში მესამე შედეგია. ბარათელი თამაშობდა “აიჩიში” (1967-1971), “ნიცაში” (1971-1978), “პარი სენ-ჟერმენში” (1979-1985). საფრანგეთის თასის 1982, 1983 წლების გამარჯვებულია. ქვეყნის ეროვნულ



გუნდში ჩაატარა 21 შეხვედრა: პირველად 1972 წლის 11 ივლისს ირლანდიასთან (ფრანგებმა 3-1 მოიგეს), ნაკრებიდან გაცილებს მატჩი 1982 წლის 28 აპრილს პერუსთან მოუწყვეს (0-1). საფრანგეთის ნაკრებში 1978 და 1982 წლების მსოფლიო ჩემპიონატზე ახლდა და უფრო მეტომარეობაში მოედინა დაიყვანეს. ამჟამად დომინიკ ბარათელი საფეხბურთო სკოლის მწვრთნელია.

სულხან-საბა ორბელიანი ამტკიცებდა, რომ საუკუნეების წინათ დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ნაწილი დასავლეთ იბერიაში გადაიხვეწა. სწორედ ისინი არიან ბასკები. ესპანეთში ოთხი ბასკური პროვინციაა, საფრანგეთში – სამი და ისინი ერთმანეთს ესაზღვრება. გასაოცარია, მათი ადათ-ჩვევების, ხასიათებისა და გვარების დამთხვევები – ბასკეთში ცხოვრობენ შემდეგი გვარები: ნოდია, ბოკერია, კიშიაური, ჯიხორია; არის მთა არჩანდა, გურია... საფრანგეთის ნაკრების მეკარე ბარათელიც ბასკი გახლდათ. **ურუგვაელი ჯიქია** ქართულ-ბასკური ნათესაობის თეორიის მიმდევარი და-თო ტურაშვილი ამტკიცებს,

რომ 1950 წელს ბრაზილიაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი ურუგვაის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, ალსიდეს ედგარო გიდეჯია, სინამდვილეში ბასკი ჯიქია არის. ურუგვაიში 1939 წელს ფრანკოს რეჟიმისგან გაქცეულ ბევრ ბასკთან ერთად აღმოჩნდა. “ვიკიპედიაშიც” დაახლოებით იგივე წერია: “ესპანურიდან მოთამაშის გვარი ხიხიად უნდა იკითხებოდეს. თუმცა, გიდეჯია იტალიური წარმოშობის მოთამაშეა, ლა-პლატა-ს რეგიონის (არგენტინისა და ურუგვაის ტერიტორიებზე) ესპანურენოვანი მოსახლეობა კი ასეთ ვარიანტს, პრაქტიკულად, არც იყენებს. ამიტომ, სავარაუდოდ, გვარი გიდეჯიად უნდა მოიხსენიებოდეს”. ალსიდეს ედგარო გიდეჯია 1926 წლის 22 დეკემბერს ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში დაიბადა. ერთდროულად უთამაშია ურუგვაისა და იტალიის ეროვნულ ნაკრებებში. ურუგვაის სახელით 1950-1952 წლებში ასპარეზობდა და ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა – 12 შეხვედრაში მეტოქეთა კარი 4-ჯერ აიღო, 1957-1959 წლებში იტალიის ნაკრებში კი – 5 მატჩში 1 გოლის გაიტანა.

მოდერნიზაცია



რონ რაზისი ქმნა რაზისი
ვულოცავ სტუდენტობას. ვისურვებ ჩვენი როინიკო ყოფილიყოს მისი ბაბუის – უფროსი როინ ცენტერაძის მსგავსი სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.
დიდი სიყვარულით, ლენა ბებია

ამინდის პროგნოზი გურიაში

ოქტაბერი ელენე ფვალიშვილი, 7 წლის დღე +32 ღამე +24	სამაგისტო ელენე ფვალიშვილი, 7 წლის დღე +27 ღამე +22
ნოემბერი სალომე ზაზაძიძე, 5 წლის დღე +30 ღამე +22	დეკემბერი ნეაჭრისე ჯიქია, 8 წლის დღე +34 ღამე +24

კომპიუტერის აქსესუარები გურიაში ყველაზე იაფად!

ჩოხატაური, დუმბაძის 25, საკანცელარიო მალაზია. (“გურია ნიუსის” რედაქციის შენობა, პირველი სართული)

ქაბრიჯის დაუხებავ 15 ლარად windows - ის ინსტალაცია
ტელ: 598 352170

ჩოხატაური, დუმბაძის 25. (“გურია ნიუსის” რედაქციის შენობა)


გამოიხერეთ გაზეთი „გურია ნიუსი“ თბილისში ადგილზე მიწვით. დარეკეთ!

2 38 26 73
2 38 26 74
2 38 26 76

ჩავი, 36 წლამდე ბარსელონაში

ესპორტ 3-თან ინტერვიუში “ბარსელონას” ვეტერანი ნახევარმცველის, ჩავი ერნანდესის აგენტმა ივან კორენამ განაცხადა, რომ კლუბმა მის აგენტს ხელშეკრულების გაგრძელება შესთავაზა. 32 წლის ფეხბურთელთან მოქმედი კონტრაქტი 2014 წელს უმთავრდება: “პარაკეტს კლუბმა ოფიციალურად შეგატყობინა, რომ ახალ ხელშეკრულებას გვთავაზობს, რადგან ხელმძღვანელობას სურს, ჩავი დარჩეს “ბარსელონაში”. ჩემი აზრით, ამ საკითხზე დისკუსია ახლავე დასაწყებაა, რადგან იფინსში უკვე გვიან იქნება”. კო-

რეჩა აღნიშნავს, რომ ვერ ხედავს სირთულეებს და ალბათ, ჩავი მოაწერს ხელს ახალ კონტრაქტს: “ჩვენ ყოველთვის ვთანხმდებით კონტრაქტის პირობებზე. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩავი გირძნობს, კლუბს ის ჯერ კიდევ სჭირდება და კლუბს მისი ისევე სჯერა”. ფეხბურთელის მოქმედ კონტრაქტს ორი წლით გახანგრძლივების ფუნქცია აქვს. დიდი შანსია, კლუბმა სწორედ ეს გამოიყენოს. ასე რომ, ჩავი სულ მცირე, 36 წლის ასაკამდე ბარსელონელი იქნება.



ჩიტო განსხვავდება ტიტო პეპისგან

ხოხებ გვარდიოლას შემცვლელმა ტიტო ვილანოვამ ურიგოდ არ დაიწყო: მართალია, ესპანეთის სუპერთასი ჟოზე მოურიჩოს “რეალთან” წააგო, მაგრამ შემდეგ ლა ლიგის სტარტზე ზედხედავითი შეხვედრა მოიგო, ერთი ტურიც და ტიტოს “ბარსა” კლუბის რეკორდულ სტარტს გაიმეორებს, ჩემპიონთა ლიგის პირველი შეხვედრაც კატალონიელთა გამარჯვებით დასრულდა. ამბობენ, ტიტოს, რომელიც პეპის ასისტენტი იყო, დიდად არაფერი შეუცვლია “ბარსაში”, მაგრამ არის ერთი რამ, რაც ამ ორ მწვრთნელს ძალიან განასხვავებს – გვარდიოლა სარეზერვო ფეხბურთელებს ენდობოდა, უყვარდა მათი წარმოჩენა. ასე აღმოჩნდა ძირითადში სერხიო ბუსკეტსი, შემდეგ

– პედრო. მსგავსი რამ ვილანოვასთვის ჯერ არ შეგვიძინებია. გვარდიოლა ამის მერეც ენდობოდა სარეზერვო ფეხბურთელებს, რომელთაგან ნაწილმა გაამართლა, ნაწილმა – ვერა. მისი წყალობით, გასული სეზონის ბოლოს კვენკა, ტელიო და ტიაგო ალკანტარა პირველი გუნდის წევრები გახდნენ. წინასწარზონო შეკრებზე ახალი მწვრთნელი ხშირად ათამაშებდა სარეზერვო გუნდის ფეხბურთელებს, მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და ერთადერთი მარტინ მონტოია ხვედრება ხოლმე განაცხადში. ერთი ორჯერ ბარტრაც მოხვდა განაცხადში, მაგრამ თამაშის შანსი არ მიეცა, მიუხედავად იმისა, რომ ხან პუიოლია დამტყვევლი, ხან – პიკე, ხან კი ორივე ერთად.





21-ს ქვევითი

გურიის
ახალგაზრდული
გაზეთი

№37

28 სექტემბერი, 2012 წელი

ნადი არჩევნებზე! – ხმა მიიხსი მოგაპვალს!

18 წლის ხარ? ე.ი. საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე ხარ. შესაბამისად, შეგიძლია, მონაწილეობა მიიღო არჩევნებში, – პროცესში, რომელმაც შენი ქვეყნის მომავალი უნდა განსაზღვროს.

გახსოვდეთ, რომ თითოეული ხმა გადამწყვეტია. ამიტომ, არ დაიხაროთ, ნადით და გააკეთეთ თავისუფალი არჩევანი. გახსოვდეთ, რომ თქვენი ხმა თქვენ გვეკუთვნით, რომ ხმა საქართველოს მომავალს უნდა მისცეთ!

რა წესებით და
თანამდებობის
სომცხეთის
პროცედურა?

ნაბიჯი 1. საარჩევნო უბანში შესვლისას ამომრჩეველი კომისიის წევრს წარუდგენს პირადობის მოწმობას/პასპორტს.

ნაბიჯი 2. ამომრჩეველი გადასცემს მარკირების შემთხვევების პროცედურას. კომისიის წევრი ულტრაიისფერი ფარნით ამოწმებს, აღნიშნება თუ არა ამომრჩეველს მარკირება. მარკირება ნიშნავს თვალის უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უფრთხილი ქიმიური სითხის წასმას. პროცედურის მიზანია, ამომრჩეველის მიერ მრავალჯერადი ხმის მიცემის გამოცხადება. თუ აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველი უკვე მარკირებულია, მას აღარ მიეცემა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, ხოლო მისი ვინაობა შეიტანება ჩანაწერთა ნიგზში.

ნაბიჯი 3. კომისიის წევრი მიუთითებს ამომრჩეველს თუ რომელ სარეგისტრაციო მაგიდასთან მივიდეს. ამომრჩეველი მიდის სარეგისტრაციო მაგიდასთან და წარუდგენს რეგისტრატორს პირადობის მოწმობას/პასპორტს.

ნაბიჯი 4. რეგისტრატორი ამოწმებს სიაში ამომრჩეველის ყოფნის ფაქტს და დადასტურებს შემთხვევაში, ახორციელებს მის მარკირებას. თუ ამომრჩეველი უარს იტყვის მარკირების პროცედურაზე, მას აღარ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.


ნაბიჯი 5. ამომრჩეველი სიაში ხელმოწერით ადასტურებს ბიულეტენების მიღებას. რეგისტრატორი ამომრჩეველს ბიულეტენებს გადასცემს მხოლოდ მას შემდეგ, რაც უკანა გვერდზე მოაწერს ხელს და დაამოწმებს სათანადო ბეჭდით. ამომრჩეველს გადაეცემა ორი სახის ბიულეტენი – პროპორციული (რომელიც შეედრის პარტიების და ბლოკების სახელწოდებები) და მაჟორიტარული (რომელიც შეტანილია პარლამენტის წევრობის კანდიდატთა გვარები), ხოლო აჭარაში – ოთხი სახის (აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მაჟორიტარული და პროპორციული). საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ, ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის

კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტი ბიულეტენების ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელში მხოლოდ დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს. ამომრჩეველი ვალდებულია, შეასრულოს ეს მოთხოვნა. **ნაბიჯი 6.** ამომრჩეველი მარტო შედის (ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება) ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენებს. ამომრჩეველმა უნდა შემოხაზოს მისთვის სასურველი კანდიდატის და პარტიის რიგითი ნომერი. თუ ამომრჩეველს, არ შეუძლია, დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვეთებისა. **ნაბიჯი 7.** ამომრჩეველმა ბიულეტენები ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა. გამოდის ფარული კენჭისყრის კაბინიდან და დაკეცილი ბიულეტენებით მიდის საარჩევნო ყუთთან განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, სადაც ის იღებს სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებს ბიულეტენებს. საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა. თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მან ეს უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მიიღოს ახალი.

ნაბიჯი 8. ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ყუთთან. მას შემდეგ, რაც ყუთის ზედახედი კომისიის წევრი დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს მხოლოდ ერთი კონვერტი უკავია ხელში, ის გახსნის საარჩევნო ყუთის ჭრილს და ამომრჩეველი ამის შემდეგ აგდება კონვერტს საარჩევნო ყუთში. **ნაბიჯი 9.** კონვერტის საარჩევნო ყუთში ჩაგდება შემდეგ, ამომრჩეველი დაუყოვნებლივ ტოვებს საარჩევნო უბანს.

ნაბიჯი 10. ამომრჩეველი უბანში დასრულებულია.

რა უნდა ახსოვდეს
ამომრჩეველს!
საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის წარდგენის გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობა



აკრძალულია;
სავალდებულოა მარკირების პროცედურის გაკეთება;
სხვის ნაცვლად ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერა, ბიულეტენების მიღება და ხმის მიცემა დაუშვებელია;
არავის აქვს უფლება ამომრჩეველის ნაცვლად შეავსოს ბიულეტენები;
კენჭისყრა ფარულია; ვერავინ გაიგებს, ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა;
საარჩევნო ბიულეტენზე რეგისტრატორმა ამომრჩეველის თვალწინ უნდა მოაწეროს ხელი და დასვას ბეჭედი;
აკრძალულია საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო უბნიდან გატანა;
აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩეველის ნების თავისუფალ გამოვლენას;
როგორ უნდა შევამოწმოთ, მართა თუ არა ამომრჩეველთა სიაში?

ამომრჩეველს შეუძლია, მიმართოს ვებგვერდს – <http://voters.cec.gov.ge/> (სადაც უნდა შეიყვანოს 11-ნიშნა პირადი ნომერი, სახელი და გვარი) ან შესაბამის (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით) საუბნო ან საოლქო საარჩევნო კომისიას. თუ ამომრჩეველი არ აღმოჩნდა სიაში, მან 17 სექტემბრამდე განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას. თუ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ამომრჩეველს შეუძლია, გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

არჩევნებში მონაწილე პარტიები და ბლოკები
№1 – “კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო”
№4 – “ედუ - ეროვნულ-დემოკრატიული პარტია”
№5 – “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს”
№9 – “სამართლიანი საქართველოსთვის”
№10 – საარჩევნო ბლოკი - “გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება”
№17 – “სახალხო მოძრაობა”
№19 – პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა”
№23 – “ჯონდი ბალათურია - ქართული დასი”
№24 – პოლიტიკური გაერთიანება “ახალი მემარჯვენეები”
№26 – “სახალხო პარტია”
№30 – “მერაბ კოსტავას საზოგადოება”
№35 – “მომავალი საქართველო”
№36 – “საქართველოს მშრომელთა საბჭო”
№38 – “შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია”
№40 – “საქართველოს სპორტსმენთა კავშირი”
№41 – საარჩევნო ბლოკი “ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება”
ნადით არჩევნებზე! ხმა მიეცი მომავალს! გახსოვდეთ, რომ თითოეული ხმა გადამწყვეტია!



ნადი არჩევნებზე! ხმა მიიხსი მოგაპვალს!

ყველანი არჩევნებზე!

ჩქარა, თორემ იყიდება საქართველო, უბან-უბან, სოფელ-სოფელ სანაქებო, ვისაც ერთხელ გაუვლია მის ქუჩებში, სევდა ახრჩობს, სადა ხარო, სანატრელო!!!
ჭკუით, თორემ დაგვიმონეს ახლებურად, ახალი ხომ გამოვლილი წარსულია.
ფურცელ-ფურცელ შევისწავლოთ ისტორია თუ არადა, ჩვენი საქმე წასულია!
დროზე, თორემ გაიყიდა საქართველო, მყიდველი კი ყველასათვის ნაცნობია.
არჩევნებში თუკი შეეცდით, გამოდის რომ, გამოდის რომ, არაფერიც არ გვეცოდნია.
ჩქარა, თორემ აინწყვიტეს ნაგაზებმა, მონადირე უკვე ჩავდა საფარშია, ისეთ საქმეს ნუ ჩავიდნენ მომავლისთვის, სირცხვილით რომ ვერ გავჩერდეთ საფლავშია.

ავთანდილ ბაგაური

თამრიკო ჭოხონელიძე: "მე ქალი დავკარგე ჩემი და ამას არავის ვაპატივებ"

ქართულ შოუბიზნესში არსებულ კლანებზე, დაბლოკილ კონცერტებსა და კიდევ ბევრ მტკივნეულ საკითხზე დღეს ბერის ლაპარაკობენ ხელოვნების მოღვაწეები. რატომ ცდილობდნენ თამრიკო ჭოხონელიძის კონცერტისთვის ხელის შეშლას, რატომ თქვა უარი მათორიტარობაზე და უქმნის თუ არა უხერხულობას ყოფილი მეუღლის ნაციონალიზმ? ამ და სხვა საინტერესო შეკითხვებზე დღეს ჩვენი რესპონდენტი გულწრფელად უპასუხებს. ის პირველად ჰყვება ისტორიას, რომელიც ნიკა მემანიშვილსა და ნიკა რურუას უკავშირდება. მუკისოსს შინ ვესტუმრეთ და მისი ორი წლის, საოცრად მუსიკალური შვილიშვილიც გავიცანით. ინტერვიუს დაწყებამდე პატარა ელენემ, ფაქტობრივად, სოლო კონცერტი გამართა ბებიის დახმარებით. გვიმღერა რუსულად, ქართულად, გვიცეკვა ბოშური. ერთი სიტყვით, კარგად გაგვახიარულა.

- თამრიკო, თვალმისაცემია თქვენი დაკლებული კილოგრამები. როგორ მოახერხებ ეს?

- ჯერ სად ხართ (იღიმება). ერთი ამდენი კიდე დასაკლები მაქვს, ეფექტი რომ მოვახდინო. მიხვდები, რომ დადგა დრო, საკუთარ თავს მოვუარო და პატივი ვცე. მე ჩემი შვილების და შვილიშვილის ყველაზე დიდი პატრონი ვარ და მიხვდები, რომ კარგად უნდა ვიყო. არ ვიყავი კარგად, ჯანმრთელობა შემერყვა, მაგრამ მხოლოდ ეს არ ყოფილა მიზეზი. გავაცნობიერე, რომ ქალი ვარ და სხვაგვარადაა საჭირო თავის მოვლა. ეს-თეტიკური მხარე, რატომღაც, გვერდზე მივრევა გადაადებული.

- რამ მიგიყვანათ ამ გადაწყვეტილებამდე?

- გაგიკვირდება და არანაირი სიახლე არ არის ჩემს პირად ცხოვრებაში.

- არადა, თვალუბი სხვაგვარად გიბრწყინათ...

- (ელიმება) არა, მართლა თამამად შემიძლია გითხრა, რომ არაფერი არ არის ამ მხრივ ახალი, თუმცა დადგა პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, როცა, უბრალოდ, ქალად ვგრძობდი თავი. ალბათ, უცნაურია ასეთი ფრაზის მოსმენა ქალისგან, რომელსაც არ ჰყავს მეგობარი მამაკაცი, მაგრამ ასეა... იყო პერიოდი, როცა ძალიან კარგად ვგრძობდი საკუთარ სქესს და ბედნიერიც ვიყავი ამ მხრივ, მაგრამ მეერე ამ თვალსაზრისით ძალიან პნელი პერიოდი დამიგდა ცხოვრებაში, რომელმაც, პირველ რიგში, ჩემს გარეგნობაზე, ჩემს ნერვულ მდგომარეობაზე იმოქმედა. ჩემში შემოიპარა ის, რაც ჩემი არ იყო. შეიძლება, ვარ პრინციპული, ზოგჯერ მკაცრიც, მაგრამ აგრესიული არასდროს ყოფილვარ. ამ გადასახედიდან, როცა უყურებ ჩემს სატელევიზიო გამოსვლებს, ვისხეხებ ყოველდღიურ ურთიერთობებს ჩემთვის ძვირფას ადამიანებთან, ვფიქრობ, რომ აგრესიის ნიშნები იყო ჩემში.

- რომელ სატელევიზიო გამოსვლებს გულისხმობთ?

- პოლიტიკური განცხადებები არასდროს გამოიკეთებია. ეს არ არის ის სფერო, რომელიც მე კომპეტენტური ვარ და ძალას ვგრძობ. როცა საქმე ჩემს სფეროს ეხებოდა, ყოველთვის ძალიან პრინციპული ვიყავი. როცა ამ სფეროში იყო რაიმე სავალალო, რაზეც საჭირო იყო განგაშის ატეხა, რა თქმა უნდა, ამის ერთ-ერთი მთავარი ვიყავი და ცეცხლად ვენთებოდი. ახლაც მზად ვარ ამ ყველაფრისთვის, თუმცა თამრიკო ჭოხონელიძის აგრესია არ უხდება და ეს იმ ბნელმა პერიოდმა გამოიწვია, როცა მე დავკარგე ჩემში ქალი, რასაც არასდროს არ ვაპატივებ არავის! და ვინ არის ის "არავინ", ჩვენმა მკითხველმა განსაჯოს.

- დებრუსიაც გქონდათ?

- დებრუსიის დასახელება იყო და მადლობა უფალს, რომ სწორედ ამ დროს გამომაფხიზლა, როგორც ჩანს, სილა გამანა. აუღეჯი, ჩავიცვი და წავედი ექიმთან. ექიმთან არა, ექიმებთან. ალ-მომინინეს ის პრობლემა, რის გამოც ყველაზე მეტად ვიყავი დათრგუნული. ეს იყო ჩემი წონა. ძალიან მალე მოგვარდა ეს პრობლემა, ერთ თვეში

ათი კილოგრამი დავიკელი და ახლაც კლებს პროცესში ვარ. ამ ყველაფერმა სტიმული მომცა, განწყობა შემეცვალა და ის თვალუბი, რომელსაც წელან ხაზი გაუსვი, მხოლოდ იმის გამოვლინებაა, რომ სარკეში ძველ თამრიკოს ვხედავ.

- როგორ დაიკელი წონაში?

- კვების რაციონიდან ამოღებული მაქვს ცომეული და შაქარი. ეფექტურია თვალმისცემიათიანი შიმშილი, საღამოს ექვსი საათიდან დღის თორმეტ საათამდე, მხოლოდ წყალი შეგიძლიათ დალიოთ, არანაირი ხილი და მანონი. 3-4 დღეში შედეგი გარანტირებულია.

- თამრიკო, დღეს რას საქმიანობ?

- მაქვს სტუდია, სადაც ვამეცადინებ ბავშვებს და თეატრალურ უნივერსიტეტში მუსიკალური განყოფილების სახელმძღვანელო. ძალიან საინტერესოა სტუდენტებთან მუშაობა და ახლაც დღეებს ვითვლი, როდის შევხვდები მათ. გარდა ამისა, ვინყებ არჩილ კერესელიძის ნაწარმოებების მოძიებას და განახლებას, ისევე, როგორც ვაგაკეთე რეზო ლალიძის შემოქმედებასთან მიმართებით. ჩვენი შვილების თაობა საერთოდ არ იცნობს არჩილ კერესელიძეს, არადა, ძალიან დიდი კომპანიტორია, უდიდესი მასშტაბის და მე ამას დავამტკიცებ, ისევე როგორც...
- ისევე როგორც დაამტკიცეთ რეზო ლალიძის შემოქმედება...

- დიდი მადლობა ამ შეფასებისთვის. არჩილ კერესელიძე კიდე უფრო საინტერესოა ჩემთვის, ვინაიდან რეზო ლალიძეს "თბილისითი" მაინც იცნობს ჩვენი შვილები თაობა. ვნახთო, თუ გამაულერებინებს - ვაგაულერებ, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი პრობლემა შემექმნა რეზო ლალიძის კონცერტამდე.

- რას გულისხმობთ?

- ბევრს გზა მხოლოდ იმიტომ აქვს ხსნილი ქართულ შოუბიზნესში, რომ მათი სიტყვები მალამოდ ედებოდა დღევანდელ ხელისუფლებას და რადგან მე თუნდაც ჩემს სფეროში განსხვავებული აზრი მქონდა, ადრევე მიმიჩნიეს მტრად. ნიკა ნიკაშვილის და კიდევ ერთი ჭეშმარიტი ქართველის, უნიჭიერესი გოგა გომიანიშვილის (რომლის გარდაცვალებიდან უკვე 40 დღე შესრულდა) წყალობით, როგორღაც დაიძრა ეს პროექტი და ფინალამდე მივიღე. კონცერტამდე ორი კვირით ადრე მირეკავს ნიკა მემანიშვილი, რომელიც ჩემ გვერდით უნდა მდგარიყო სცენაზე და მის ორკესტრს აკომპანირებდა გაენია ჩემთვის და მეუბნება, რომ კონცერტი იშლება, რადგან კონცერტის წინა დღეს ბატონი ნიკა რურუა პარიზში მგზავნის ჩემი ორკესტრით. ეს იყო შოკი. ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე, აღარ ვაპირებდი არაფრის გაკეთებას.

- კონცერტის თარიღის გადაწვევაზე არ გიფიქრიათ?

- არა, მივხვდი, რომ ეს იყო ჩემი კონცერტის ჩაშლის მეგობრული მცდელობა. თუ რატომ, ალბათ, ამ კითხვას ოდესმე გაეცემა პასუხი. ხორვატიასში დაფურეკე დათო დოიაშვილს, რომელიც ჩემი კონცერტის რეჟისორი გახლდათ, "მაპებუტე" ჰქონდა წაღებული და ძალიან ბევრ ნომინაციაში გამიმარჯვა ამ სპექტაკლმა. დათო არ დაესწრო დაჯილდოების ცერემონიალს, რადგან შევატყობინე, რომ კონცერტს აღარასდროს ჩავატარებდით და თბილისში დაბრუნდა. მიხვდა, რომ ცუდი სიტუაცია იყო, ჩამოვიდა და გამომაფხიზლა. მიმახვდებოდა, რომ ბრძოლა იყო საჭირო და არა ხელის ჩაქნევა. ეს ამბავი არასდროს საჯაროდ არ მომიცოლია. ახლაც რომ ვყვები, ძალიან განვიცდი. ნიკა ნიკაშვილი, რომელიც ამ პროექტზე ჩემთან ერთად მუშაობდა, დაიჩემბა, უნდა ნახვიდე ნიკა რურუასთან და სიმართლე გავიგო. ვალიარებ, იმ დროს დანახვა არ მიხდებოდა არც ნიკა რურუასი და არც სხვა ვინმესი, მაგრამ დაეუფერე და მივედი ნიკასთან. არ დამაინყვებდა მისი გაკვირვებული სახე. იქით მიიქცა, მე როდის ვაგზავნი ნიკა მემანიშვილს ორკესტრთან ერთად სადმეო. პირდაპირ მითხრა, პარიზში არავინ მიღის და შენი კონ-

ცერტი აუცილებლად ჩატარდებაო. კონცერტი გაიმართა ნიკასთან და მის ორკესტრთან ერთად. მემანიშვილისგან მივიღე ასეთი შინაარსის სატელეფონო მესიჯი, - ოდესმე ვიტყვი, რა მოხდა სინამდვილეშიო. კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს ნიკა მემანიშვილთან პეტრე გრუზინსკის საღამოსთან დაკავშირებით. აქვე ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ პეტრე გრუზინსკის დაბადების დღე არავის გახსენებია, ვიდრე მე არ ვთქვი ჩემს საღამოზე, რომ მას 90 წელი შეუსრულდა და ამ თარიღის აღნიშვნა იყო საჭირო. ამ საღამოს შემდეგ სახელმწიფომ გამართა კონცერტი, რომელზეც სრულდებოდა პეტრე გრუზინსკის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. გამოდის ტელევიზიით ნიკა მემანიშვილი და ასეთ რამეს ამბობს: "ამ კონცერტში უკლებლივ ყველა ის მომღერალი მონაწილეობს, ვისაც ქართული სიმღერისთვის არ უღალატია". ამ კონცერტში არ მონაწილეობდნენ მათა ჯაბუა, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ირმა სოხაძე, ეკა კვალიაშვილი და თამრიკო ჭოხონელიძე. დადგა დრო, ხმა ამოვიღო ამ ყველაფერზე. თქვენი უურნალის საშუალებით, მინდა ვკითხო ნიკა მემანიშვილს, ცოტა უხერხული ხომ არ არის ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთება საზოგადოების წინაშე იმ ხალხის მიმართ, ვისაც მართლა არასდროს უღალატია ქართული სიმღერისთვის? ძალიან ბევრი რამ მოხდა ამ შვიდი წლის განმავლობაში ისეთი, რამაც მე გამაოგნა. ეს ის ქვეყანაა, სადაც ჩვენ არ გვაქვს უფლება მართლედ ვთქვათ?! ეს ის ქვეყანაა, სადაც ჩვენ არ გვაქვს განგაშის ატეხის უფლება?! ეს ის დემოკრატიული ქვეყანაა, სადაც სიტყვა არ გეთქმის და საპირისპირო მოსაზრების გამო მტრად მიგიჩნევენ?! მაშინ რატომ უკვირთ მავანთ და მავანთ, რომ დღეს მე განსხვავებულ აზრზე ვდგავარ და სხვა პოზიცია მიჭირავს? მომისაუეს სფერო, რომელიც სათაყვანო და ძალიან ძვირფასია ჩემთვის.

- მომღერლების დაბლოკვაზე, პოლიტიკური ნიშნით შერჩევასა და ამ ნიშნითვე კონცერტებზე მოპატიუებაზე დიდი ხნით ადრე ალაპარაკებდა ლევან ლომიძის თემატიკის თემატიკაზე. ჩვენ არ გვკავს თამრიკო ჭოხონელიძის პოლიტიკური განცხადებები. რატომ დუმდით აქამდე?

- პოლიტიკურ განცხადებას არც ახლა ვაკეთებ. ვამბობ, რომ მე, როგორც თქვენს ქვეყანაში, ვარ ცუდად. დი-აგნოზი ავადმყოფს ექიმმა უნდა დაუხვას, მკურნალობაც ექიმის პრეროგატივაა. ვილაცამ, რომელიც ექიმის მისალეში რიგში დგას, რაც უნდა მელაპარაკოს, შენ ეს გჭირს და ასე უნდა იმკურნალო, არ დაეუფერებ. ზუსტად იმავე როლში ვარ მეც. პოლიტიკა არ არის ჩემი სპეციალობა. მაგრამ მაშინ, როცა შენს კულტურას თელავენ, იმას, რასაც შენს ქართული ხალხური შემოქმედება ჰქვია, როცა სხვისი მოპოვებული საგანძური დღევანდელი, ხელისუფლების მეხობზე შოუბიზნესილების საკუთრებად სალდება, დანაშაულია ხმა არ ამოიღო. მით უმეტეს, თუ ამ სფეროს სპეციალისტი ხარ. როცა ვხედავ, ჩემ თვალში უტოფრობის ზეიშია, აუცილებლად ავიმალღებ ხმას და როცა ჩემი შვილი და შვილიშვილი მკითხავს, სად იყავი, როცა ქართული ხელოვნება ილუპებოდაო, თამამად ვიტყვი, რომ ჩუმად არ ვიყავი, ჩემი წილი ხმა ამოვიღე.

- თქვენი ყოფილი მეუღლე, გაი რინიშვილი, ყოველ ნაციონალურ სიით იყრის კენჭს საპარლამენტო არჩევნებში. ეს, გარკვეულწილად, უხერხულობას არ ქნის, როცა თქვენ სხვა პოზიცია გიკავიათ?

- იმან იუხერხულოს, ვისაც საუხერხულო აქვს.
- ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სწორედ იმ დროს განუდევით საპარლამენტო გიგანა, როცა ის პოლიტიკაში წავიდა...

- (მანყვეტინებს) ვე მოსაზრება ჩემამდეც მოვიდა. მეუბნებოდა, რომ გაი



სწორედ ამიტომაცა ჩემზე ნაწყენი. მინდა შევხსენო მკითხველს და ყველას, ვისაც ეს ინტერესებს, რომ ჩემი ყბადღებული გამოსვლები ქართული ხელოვნების დასაცავად, ფოლკლორის დასაცავად, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით, 2003 წლიდან დაიწყო. არსებობს ამის რადიოჩანაწერები, პრესაში ინტერვიუები, სატელევიზიო გამოსვლები. მაშინ მე და გაი ჯერ კიდევ ერთად ვიყავით. გამომალაია კარგად იცის, რამდენი დაბრკოლება და გულისტკენა მქონდა ამ ყველაფრის გამო. ახლა კი მე ვსვამ კითხვას, როდის მივიდა გაი პოლიტიკაში? - 4-5 წლის წინ. ასე რომ, ვინ ვის განუდგა, ვინ როდის წავიდა და ვინ ვის უღალატა, ეს მკითხველმა თავად განსაჯოს!

- დღეს, ალბათ, გაქვთ გაისთან ურთიერთობა, გქონიათ პოლიტიკაზე საუბარი? რჩევა თუ მიგიციათ?

- გვექონია, მაგრამ გაის აქვს საუბრის ის მანერა, რაც ზოგადად ნაციონალებს ახასიათებთ - ორ ხმაში საუბარი. ჩვენ ორ ხმაში ვესაუბრობდით. ის თავისას მიმიტკიცებდა და მე - ჩემსას. მიხვდა, რომ ეს იმ დებატებს ემსგავსებოდა, როცა ძირითადად ხმას, რომლის ლაპარაკის ჯერაც არის, პარალელურად ზევიდან ეფინება მოვრე ხმა და არც ერთის პოზიცია არ გვესმის. გადავვინავი, აღარ მელაპარაკა გაისთან პოლიტიკაზე, იმიტომ, რომ ჩვენ შორის მთავარი სალაპარაკო თემა გაცილებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ მე და გაი ოფიციალურად ცოლ-ქმარი აღარ ვართ, ჩემთვის მნიშვნელოვანია მისი ჯანმრთელობა, ფეხზე მყარად დგომა, პირველ რიგში, მისი შვილებისთვის და ჩემთვისაც. ძნელად ვივინყებ იმას, რაც ჩემთვის ძვირფასი და კარგი იყო, ამიტომ შინაგანად გაის გვერდში დგომის ინსტიქტი მაქვს. როცა გაის დედა ჰყავდა მძიმედ, დემერტმა ნათელში ამყოფოს ის ქალბატონი, ბევრს უკვირდა, რომ ამ დროს მე გაის გვერდში ვიდექი. მაშინაც, როცა ავად ჰყავდა დედა და მაშინაც, როცა გარდაიცვალა, ვეცადე გაისთვის ის განსაცდელი გადამეტანინებინა. დედისერთაა და ვიცოდი, ძალიან რთული იქნებოდა ეს მისთვის. 40 დღის განმავლობაში ყველაფერი ვაკეთებდი მთელმა ოჯახმა იმისთვის, რომ მას თავი მარტო არ ეგრძნო. ორმოცდამეორე დღეს, როცა ეიფორია დამთარდა და ყველა სახლებში წავიდა, გიაც გაქრა. დღეს არათუ კონტაქ-

ტი არ აქვს ჩემთან, ჩემი ტელეფონის ზარსაც აღარ მასუხობს. მინდა ვუთხრა გაის, დამშვიდდეს, ჩემი ტელეფონიდან ზოგჯერ მისი შვილები რეკავენ, როცა ანგარიშზე თანხა არ აქვთ. შოკში ვარ, რა არის იმაზე დიდი და მნიშვნელოვანი ამ ცხოვრებაში, ვიდრე საერთო შვილები, საერთო საქმის ერთად გადაწყვეტა, როცა უკვე შვილიშვილი გაყავს. ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ მე მისგან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებთან ურთიერთობა. ის, რომ სხვაგვარ პოზიციაზე მყოფი ადამიანებიც მისი თანამოძმეები არიან, ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ, არც გაის და არც მის გუნდს კარგად გააზრებული არ აქვთ. ეს რომ ერთ კონკრეტულ ოჯახს ეხებოდეს, კიდევ შეეფუტებოდა ადამიანი, მაგრამ უბედურება იცით, რა არის ვითარება საქართველოს მოდელია. განსხვავებული აზრის გამო ოჯახები დაინგრა, და-ძმა, მამა-შვილი გადაემტერა ერთმანეთს. აი, ეს არის ის, რასაც ვერ ვაპტივებ დღევანდელ ხელისუფლებას. ეს შუღლი და ზიზი მათ დაწერეს, მათ გააკეთეს, უპატივებელი შეცდომა დაუშვეს შთამომავლობის წინაშე. ახლა ზნედაცემულობის, არაადამიანურების, დაუნდობლობის დიდი გავლენა შეიმჩნევა და ამას, ძირითადად, ჩემი შვილების თაობა ემსხვერპლა. სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ყველაფრის აღდგენა და რეაბილიტაცია. უნდა დაეწესებინათ, რომ ოდესმე ერთმანეთი ყველას ძალიან გვიყვარდა!

- იქნებ გაის გულწრფელად სჯერა, რომ ქვეყანა აღმავლობის გზას ადგას?

- ზუსტად ვიცი, რომ სჯერა! ბევრი მისი თანაგუნდელისგან განსხვავებულს, რომლებსაც სხვა მიზნები და ზრახვები ამოძრავებთ, გაის გულწრფელად სჯერა, რომ კეთილ საქმეს ემსახურება. ეს მისი პლუსია. გაი შეიძლება ცეცხლში ჩავარდეს, თავისი პოზიციის სისწორეში რომ დაგარწმუნოს და თავდაც გულწრფელად სჯერა ამის. მან თავისი გუნდის და საქმის გამო პროფესიასაც კი უღალატა. სცენაც აღარ ენატრება, რაც ძალიან მაკვირვებს. მიმაჩნია, რომ ის უნიჭიერესი მსახიობია და მისი სახით საუკეთესო კადრი იკარგება როგორც მსახიობის, ისე პედაგოგის. ვერ წარმოიდგენთ, რამდენად ბევრს კარგავენ ახალგაზრდები, როდესაც გაისთან, როგორც პედაგოგთან, ურთიერთობა არ აქვთ.

გავრძელება ბ-4 გვერდზე

ტაეკვონ-დოს ოზურგეთელი პირტუოზები

ლილიანა კალანდანიძე

ოზურგეთის სასპორტო სკოლის "ტაეკვონ-დოს სკოლა" დღეს წარმატების ზენიტშია. სკოლის ინსტრუქტორი – ირაკლი ტულუში, გინესის მსოფლიო რეკორდსმენია. იგი 2002 წელს საქართველოს ჩემპიონი იყო. ირაკლი ტულუში ახლა გურიაში საქართველოს ტაეკვონ-დოს საქართველოს ფედერაციის ოფიციალური წარმომადგენელია. უკვე 10 წელია, ის ბავშვებს ავარჯიშებს და იმდენად არის შეყვარებული სპორტულ საბრძოლო ხელოვნებაზე, სურს არაერთი ჩემპიონი აღზარდოს. წლების მანძილზე, სულ ცოტა, ის 30 ბავშვს ავარჯიშებდა, თუმცა არიან გამორჩეულები, რომლებმაც უკვე სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს და მათზე განსაკუთრებით ზრუნავს. გურისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები: ნინო ხუტულაშვილი, შუქრი ჩხარტიშვილი და რამაზ კახაძე 17 წლის არიან, ჯემალ ბაუაძე 21 წლისაა, ყველაზე უმცროსი თემურ ლლონიკი – 14 წლის. ახლა ეს ახალგაზრდები მთელი ძალისხმევით ვარჯიშობენ, რათა მოახლოებულ ტურნირებში იასპარეზონ, განსაკუთრებით კი აფიქრებთ მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ნოემბრის თვეში თურქეთში გაიმართება.



ირაკლი ტულუში აღსაზრდლებთან ერთად

ერთი სუსტი სექსის წარმომადგენელია – ნინო ხუტულაშვილი, რომელსაც ბრძოლის ფინი და მისწრაფება არანაკლები აქვს, ვიდრე ვაჟკაცებს. – "ის საკმაოდ მორიდებული გოგონაა, თუმცა ვარჯიშის და განსაკუთრებით, შეჯიბრის დროს, ამორძალის სულიანკვეთებას შეიგრძნობთ. მასზე ძალიან დიდ იმედს ვამყარებ", – ამბობს მწვრთნელი. ახლა ერთი ჩანაფიქრიც აქვს ირაკლი ტულუშს და მის მოსწავლეებს. მათ სურთ, ოქტომბერში ოზურგეთში ჩამოიყვანონ შავი ქამარი X-დანი, მსოფლიო ჩემპიონი სულეიმან მამადალი, რომელიც პირადად იცნობდა ბრიუს ლის და გენერალ ჯოი ხოგ

ხის – ტაეკვონდოს დამაარსებელს. ნოემბერში კი საქართველოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს, რომელიც ყოველ წელს დადგენილი ერთხელ ტარდება და შინ მუდამ გამარჯვებული ბრუნდება ირაკლი და მისი გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ ასე თინეიჯერულ ასაკში საკმაოდ ბევრი მებრძოლი მფლობელია მონინავე ხუთეული, ირაკლი ტულუში მიიჩნევს, რომ ყველაზე მთავარი გამარჯვებები წინაა და აუცილებლად მოვა ისეთი წარმატება, რომელიც მსოფლიო მასშტაბის იქნება! 21-ს ქვევით დიდ წარმატებებს უსურვებს ირაკლის და მის აღსაზრდელებს.

ჰოროსკოპი

პირი

მიმდინარე კვირაში შეეცადეთ, რაიმე ურთიერთობა არ გქონდეთ კანონდამცველებთან – ეს კარგად არ დამთავრდება. თუმცა, გული არ გაიტყუოთ, რადგან კარგი დრო დგება სასარგებლო ნაცნობების შესაძენად. საქმიანი პარტნიორები თქვენს დამსახურებას აღიარებენ.

კურო

უამრავი სამუშაო გექნებათ საქმიან ქაღალდებთან. ეს კი დიდ დროსა და ენერჯიას ნაგართმევეთ. გამოსასვლელ დღეებში სასიამოვნო საზოგადოებაში ყოფნით, შეეცადეთ, დაკარგული ენერჯია აღიდგინოთ.

ტყუპები

მაქსიმალური ყურადღება გჭირდებათ საბუთებთან და ფასიან ქაღალდებთან მუშაობისას. დრო დგება, როცა თქვენ შეგიძლიათ, განახორციელოთ ყველაფერი, რაზეც კი ცხოვრებაში ოცნებობდით. პარასკევს მიღებული ინფორმაცია დაგეხმარება სასურველი მიზნის მიღწევაში.

კირჩხიბი

ფორტუნა გეხმარებათ, მიმდინარე კვირაში იყოთ მეტად დინამიური და მიზანსწრაფი. კვირის შუაგულში, შესაძლოა, ძველმა პრობლემებმა იჩინოს თავი, მათი მოგვარების გარეშე კი რაიმეს მიღწევა გაგიჭირდებათ. პარასკევს შანსი გეძლევათ შემოქმედებითად და პროდუქტიულად განახორციელოთ თქვენი ჩანაფიქრი.

ლომი

არსებობს საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ მოგვარებას მოითხოვს. ეს შექმნილ სიტუაციაზე დაგაფიქრებთ. გადაწყვიტეთ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა? კარგი აზრია, მაგრამ უმჯობესია, იგი მომავალ კვირაში განახორციელოთ.

ქალწული

კარგი დრო დგება მნიშვნელოვანი საქმის დასაწყებად. ნუ შეგრცხვებათ, მიიღეთ შემოთავაზებული დახმარება. პირიქით, თხოვნითაც მიმართეთ ვინ-

მეს რაღაც გააკეთოს თქვენთვის. შეეცადეთ, მშვიდად შეხვდეთ გამოცდას, რომელსაც ბუდი გიმზადებთ. ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, შეიძლება, ინტუიციამ გილაღალოთ.

სასწორი

დასანანი შეცდომა რომ არ დაუშვათ, მოგიწევთ, საკუთარ თავზე უფრო მეტი იმუშავოთ. ხუთშაბათს მიღებული ინფორმაცია დაგაინტერესებთ. პარასკევს მეგობრები გარკვეული პრობლემების გადაჭრაში დაგეხმარებიან.

მორიელი

ბევრი სირთულის გადალახვა მოგიწევთ. თუ აქამდე ამისთვის ძალა არ გყოფნიდათ, ახლა ყველაფრისთვის მზად ხართ. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაც გელოდებათ.

მშვილდოსანი

ძალების მოზღვაებას იგრძნობთ. ახალი იდეების და გეგმების განხორციელების დრო მოვიდა, მაგრამ მეტი წინდახედულება გამოიჩინეთ გადაწყვეტილებების მიღებისას.

თხის რძა

თუ შეუმჩნევლად იმოქმედებთ, თქვენი გეგმები განხორციელდება. კარგი დროა წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. ორშაბათს ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ.

მარწყული

მიმდინარე კვირაში იოლად გაუმკლავდებით როგორც სამსახურის, ისე პირადი ცხოვრების პრობლემებს. ყურადღებით იყავით ახალი იდეების განხილვისას, რაც უნდა აბსურდულად მოგეჩვენოთ იგი. ორშაბათი კარგი დღეა მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის, თუნდაც საცხოვრებელი ადგილის შესაცვლელად.

თაყვანი

კარგი განწყობა და საკუთარი ძალების რწმენა მიმდინარე კვირის განმავლობაში თქვენს ცხოვრებას ფონად გაჰყვება. სამშაბათს უკიდურესობაში ნუ გადავარდებით და უამრავ საქმეს ერთდროულად ნუ მოეკიდებით.

ქართული მსახიობი, როგორც "ისლამის უსოდველობაში" თაბაშოვს, აბოვს, რომ ჩაუბრუნა უცხოეთში უიყვანა

ქართული წარმოშობის მსახიობმა, ანა გურჯია, იგივე ანა გიორგობიანი, რომელმაც განხორციელა ფილმში "ისლამის უცოდველობა" თაბაშოვს, ლია ნერილი გამოაქვეყნა, სადაც ფილმში მონაწილეობის საკუთარ მოტივაციებზე საუბრობს. ანა გურჯიას წერილში, რომელიც მწერლისა და ჟურნალისტის ნეილ გეიმანის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ მსახიობმა ფილმის რეჟისორ ნაკულა ბესლის გეგმების შესახებ არაფერი იცოდა.



21 წლის ანა გიორგობიანი თბილისში დაიბადა. პირველი სერიოზული როლი 14 წლის ასაკში, მისი დის, ხათუნა გიორგობიანის მოკლემეტრაჟიანი ფილმში – "ეს დღე რომ არ ყოფილიყო" – შეასრულა. 2007 წელს ანამ ამერიკულ ტელე-პროექტში – "სიგნალები" – როლი მიიღო. 2008 წელს ის რეჟისორ დუსან რაპოსის სლოვაკურ-უნგრულ ფილმში – "ჩინკა პანა" მიიწვიეს, სადაც მე-18

საუკუნეში მცხოვრები მეგილინე გოგონა განასახიერა. ფილმი "ისლამის უცოდველობა" წინასწარმეტყველი მუჰამედის ალტერნატიული ისტორიის მოგვითხრობს. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი ფართო კინოგაქირავებაში არ გასულა, მან არაბულ სამყაროში საპროტესტო აქციები გამოიწვია.

www.ambebi.ge

ანეკდოტი

ენაბლუს ამბროლაურში ეჩქარება. გააჩერა ტაქსი, გამოალო კარი და ჩაიხვია:
– ბიიიიიიიი, ამ... ამ... ამ... ამ... თვალბედაშტიმული გურული ტაქსისტი ეუბნება:
– არ მიკბინო, ჩემი ბიიი და საცხა მეტყვი, იქნე წაგიყვანო!



გურულ მძლოს ეკითხებიან:
– სად მიდის ეს ავტობუსი?
გურული პასუხობს:
– ნეიკითხე, ძამა, აი ტრაფარეტი და გეიგებ, გასაშრობათ კი არ მიდენა მაქანე.

მიხი მოკვდება, გაიხედავს სამოთხეში – ხალხი ლოცულობს. გაიხედავს ჯოჯოხეთში – ხალხი გულაობს – ქალები, მუსიკა, დასალევი. ადგება და იტყვის – ჯოჯოხეთში მინდაო. უცებ გამოეღვიძება, დიდ ქვაში გდია და ეშმაკი კოვზით ურევს, თან ეუბნება: – მოგეწონა რეკლამა?

გურული გარშოკს ყიდის. გურული კლიენტი ეკითხება.
– რა ღირს, ძამა, გარშოკი?
– თუმანი.
– ძვირია, ძამა, უსახურავო გარშოკია.
მაგის სახურავი ტრაკია და თუ ტრაკი არ გაქ, გარშოკი რად გინდა?

გურული რეკავს 09-ში.
– რამდენ ხანს ანდომებს მატარებელი თბილისიდან ოზურგეთში ჩასვლას?
– ერთი წამი!
– იუიუ, გამაღობთ!

რაქმდენს უხდინან "ნაციონალური" მოქალაქეებს კონსტიტუციური და პინ თქვა უარი ანაზღაურებაზე

პოლიტიკა შოუბიზნესს პირდაპირ თუ ირიბად მაინც ეხება. თუკი მომღერლებს შეეკითხებით, რას ფიქრობენ პოლიტიკაზე და იციან თუ არა მალაჩინოსნების სახელ-გვარები, მათი უმრავლესობა გეტყვით, რომ აპოლიტიკური ადამიანია, თუმცა, ვინაიდან საქართველოში ყველა და ყველაფერი პოლიტიზებულია, ეს ამ სფეროსაც შეეხება და შესაბამისად, ძნელი ისეთი ცნობილი სახის მოძებნა, რომელიც აქტიურად არ არის ჩართული ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალის რეკლამაში საკუთარი სიმღერით. საქმე ისაა, რომ ზოგი გულწრფელად პასუხობს შეკითხვას ამის შესახებ და ზოგს არ უნდა ვრცლად საუბარი, თუმცა, რასაკვირველია, ესეც მათი უფლებაა. თუმცა აშკარაა, რომ შოუ-ბიზნესი გაყოფილია და დიდი ნაწილი მმართველი პარტიის მხარდასაჭერ კონცერტებზე გამოდის. "ქართული ოცნების" დამრტყმელი ძალა ბერა ივანიშვილია. სხვათა შორის, ბევრი ხუმრობს, თუკი ბიძინა ივანიშვილი გამარჯვებს, მერე ალბათ სულ ბერას კონცერტები იქნება საქართველოში და სულ მის კლიენტებს გვაყურებინებენო. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, თანაც, არჩევნების მხარდასაჭერად ჯგუფი "შინიც" მართავს კონცერტებს რეგიონებში, მათ, როგორც ზურა მანჯავიძემ გვითხრა, თავდაცვით შეუერთდება მალე. ისინი ათ კონცერტს გამართავენ. "ქრისტინა-დემოკრატიის" გვერდით დგანან "ქუჩის ბიჭები", ნინო ქარსელაძე და "ნიკოლოზი". ჩამონათვალის მიხედვით, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ზურა ხაჩიძეს მხარი ნინომ და საკუთარმა ჯგუფმა დაუჭიროს. არის თუ არა ანაზღაურება მნიშვნელოვანი მომღერლებისთვის, როცა ის რომელიმე პარტიას უჭერს მხარს, ამაზე საინტერესო გამოკითხვას გთავაზობთ.

მარკუს მეტრეველი:
- მარკუს, პოლიტიკას თვალს ადევნებ?

- რა თქმა უნდა. თვალს ვადევნებ იმას, რაც ჩემი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას შეეხება. მინდა, ჩვენი ქვეყანა ხორმალურ სახელმწიფოს დაემსგავსოს და მგონია, რომ ეს შესაძლებელია. აპოლიტიკური ვარ, მაგრამ მაინც ვინტერესდები პოლიტიკური ამბებით.
- ვიცო, რომ "ნაციონალურის" მხარდასაჭერ კონცერტებში მონაწილეობს.
- დიას.
- ანაზღაურებით კმაყოფილი ხარ?
- ძალიან სოლიდურად უხდინან ყველა მომღერალს. ფეიქრობ, რომ არა მხოლოდ ამგვარ კონცერტებში უნდა იყოს ასეთი ანაზღაურება. მომღერალი ყველგან უნდა იღებდეს კარგ პონორარს.

- შეგიძლია გვითხრა, დაახლოებით, რა თანხაზეა საუბარი?

- კონკრეტულად თქმის უფლება არ მაქვს, თუმცა იმდენია, რომ მომღერალმა კარგ სტუდიაში სიმღერა ჩანეროს და ეს არცთუ ცოტაა, დამეთანხმებით, კარგ სტუდიაში სიმღერის ჩანერა იაფი არ ღირს. ძალიან მისაღები პონორარია, რაც გამოგვიყვებს. როცა ახალი წლის კონცერტები კეთდება, იქაც კარგი პონორარებია.

- ეს შენთვის ჩვეულებრივი შეკვეთაა თუ იზიარებ იმ პოლიტიკური ჯგუფის მიმართულებას, რომლის კონცერტებზეც გამოდინარ?

- რა თქმა უნდა, ეს ჩვეულებრივი შეკვეთაა, მაგრამ მიხარია, იმ პარტიის კონცერტებზე გამოვდივარ, რომელმაც ქვეყანა წინ წაწია. თანხაზე რომ არ ყოფილა საუბარი, ისეთ კონცერტებშიც მიმიღია მონაწილეობა. ხალხის წინაშე გამოსვლა ჩემთვის შემოქმედებით პროცესს უკავშირდება. **ნინა:** დავინწყით იქიდან, რომ მომწონს იმ გუნდის მიმართულება და იდეები, რომელსაც მხარს ვუჭერ. იმიტომაც ვარ სახელმწიფო სამსახურში, მაგრამ რომც არ ვიყო, მაინც "ნაციონალურს" დავუჭერდი მხარს. ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო, რა გაკეთდა და კეთდება. ქვეყანა აშენდა ძალიან ნელა და განმავლობაში და ზოგი სახლის აშენებას ვერ ამთავრებს ამ დროში. როგორც მოქალაქე, მომღერალი და ამომრჩეველი ღიად გამოვხატავ ჩემს სიმპათიას. თუკი ეს ძალა არ გაიმარჯვებს, ამ ქვეყანაში ცხოვრება აღარ მინდა. არც ის მინდა, რომ აქ ჩემმა შვილმა იცხოვროს. არ მინდა, სიბნელეში ვიყო, თუმცა აქ უშუქობას არ ვგულისხმობ. ამას ვერ გადავიტან და თავს მოვიკლავე!

- ვიცო, რომ კონცერტებში, რომლებზეც გამოდინარ, ანაზღაურებას იღებთ მომღერლები.

- არ ვიცო, ეს ვინ გითხრა, მაგრამ როცა გავიგე, რომ მხარდასაჭერი კონცერტები უნდა გამართულიყო, დავრეკე და ვთქვი, რომ მონაწილეობას ყველანი იმ ანაზღაურების გარეშე მივიღებდი. თუ ფული იღებ და კონცერტებით გამდიდრდები, ეს რა მხარდასაჭერაა?! მე თეთრსაც არ ვიღებ. სამსახურში რაც მაქვს ხელფასი, ეს სხვაა, სტეჟვა იქნება, ქარი თუ წვიმა, ნავალ და აუცილებლად ვიმღერებ. **სალომე ბაკურაძე:**
- სალომე, პოლიტიკა გაინტერესებს?
- არა, პოლიტიკაში ვერ ვერკვევი.
- ვიცო, რომ "ნაციონალურის" კონცერტებში მონაწილეობ.
- ვმონაწილეობ, მაგრამ არ გავაკეთებ ამაზე კომენტარს (იღიწის). **თამაზ ქელიძე:** როგორ გითხრა, დანატერესებული ვარ იმით, რაც ჩემს ქვეყანას ეხება. ნეიტრალურობა ამ

შემთხვევაში იმას ნიშნავს, რომ არ გაღელვებს ქვეყნის ბედი, ამიტომ ზოგადად მაინტერესებს პოლიტიკა. ვერ გეტყვი, რომ მინისტრებისა და მათი მოადგილეების სახელები და გვარები ვიცი, ვერ ვიმახსოვრებ.
- ვინმეს მხარდასაჭერ კონცერტებში მონაწილეობ?

- მმართველი პარტიის.
- ამ შემთხვევაში რა მიზანი გაქვს, ანაზღაურება მნიშვნელოვანი, მეგობრებთან ერთად ყოფნა თუ პარტიის კონცერტზე არის ახლოს შენთან?

- ეს მართლა ჩემი პირადული საქმეა, რატომ ვიღებ მონაწილეობას, ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ, თუმცა დავადასტურებ, რომ ვმონაწილეობ, ამაში დასაბამი არაფერია (იღიწის).

ნინო ჩხვიცი: პოლიტიკა ზოგადად არ მაინტერესებს. ჩემს საქმეებში იმდენად ვარ ჩართული, რომ ამ სფეროს აქტიურად ვერ ვადევნებ თვალს. თანაც, საქართველოში ყველას ჰგონია, რომ ეს მისი საქმეა და ყველა პოლიტიკაზე ლაპარაკობს. მე კი არაკომპეტენტური ვარ და შესაბამისად, არ ვარ ამ სფეროში ჩახედული. ვერ გეტყვი, რომ ვიცი თითოეული მინისტრის გვარი.

- "ნაციონალურის" მხარდასაჭერ კონცერტებში რატომ მონაწილეობ?

- ამ შემთხვევაში ვიზიარებ ამ პარტიის მიმართულებას და ამიტომ გამოვდივარ მისი სახელით, მომწონს ბევრი რამ, რაც გაკეთდა. ადრე თბილისში ნორმალურად ვერ გავივლიდი, ახლა კი არა მხოლოდ თბილისში, არამედ ბევრმა სხვა ქალაქმაც ევროპული იერი შეიძინა. მიხარია ყველგან ჩასვლა. უშუქოდ და უგაზოდ რომ აღარ ვსხედვართ, ამაზე აღარ ვლაპარაკობ. ადამიანებს დაავიწყდათ როგორი პირობები იყო.

- ანაზღაურება მნიშვნელოვანია?

- არა. ანაზღაურებას არ აქვს მნიშვნელობა. მე ჩემს შეხედულებას ვიცავ. თანაც, არ გვაქვს ანაზღაურება. თუკი პარტიის კონცერტზე არ ვიზიარებ, არანაირი ანაზღაურების ფასად არ დავთანხმდებოდი, ფულიც რომ გადაეხადათ.

ნინო შერმაღინი: პოლიტიკა არ მაინტერესებს. "გარტყმაში" არ ვარ (იღიწის). არ ვიცო ეს თემა. კი არ მესწინია რაიმეს თქმა, უბრალოდ, ძალიან აპოლიტიკური ვარ.

- მმართველი პარტიის კონცერტებში ხომ მონაწილეობ?

- დიას. იცი, რა არის? მე ვემგობრობ მათთან და საქმიანი ურთიერთობა მაქვს, სულ გამოვდივარ კონცერტებზე. გარდა ამისა, მე ვმღერო ხალხისთვის, სადაც კონცერტი და სადაც ჩემი მსმენელია, იქ გამოვდივარ. მიხარია საკუთარი თავის რეალიზება.

- თანხის ხომ გიხდინან?

- ძალიან ბევრჯერ უფასოდაც გამოვსულვარ ამა თუ იმ კონცერ-



ტზე. ჩემთვის აქვს მნიშვნელობა, როცა ბევრი მსმენელის წინაშე გამოვდივარ. ანაზღაურებას არ აქვს მნიშვნელობა. **გია სურამელაშვილი:** ვერ გეტყვით, რომ პოლიტიკიდან ძალიან შორს ვარ. რომ გითხრა, რომელიმე პარტიაში გავწევრიანდები-მეთქი, ასე არ არის, მაგრამ სექტემბრიდან "ნაციონალურის" კონცერტებში მივიღებ მონაწილეობას. ოქტომბერში ისრაელში მივდივარ.
- ანაზღაურებაზე რა გითხრეს?
- ანაზღაურების გარეშე გია სურამელაშვილი არსად არ გამოდის. **ზურა მანჯავიძე:** "შინმა" რომ გამოთქვა ინიციატივა არჩევნებთან დაკავშირებით, კონცერტებს ატარებენ და ხალხს მოუწოდებენ არჩევნებში მისვლისკენ, ამ ინიციატივას ვუერთდებით ჩვენც.

- კონკრეტული პარტიის მხარდასაჭერისკენ არ მოუწოდებთ?

- ამ კონცერტების ფარგლებში არა. თუმცა ამას წინაშე ვზიად ძიძიგურთან ერთად გახლდით რუსთავეში. "ქართული ოცნების" მხარდასაჭერი ვარ.
- იცი, ალბათ, რომ "ნაციონალური მოძრაობის" მხარდასაჭერი კონცერტებში იმართება და ანაზღაურებას იღებენ მომღერლები. თქვენ თუ იღებთ?
- ვიცი და უმეტესობა თუ ანაზღაურებას იღებს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენ არ ვიღებთ. ათი კონცერტი გვაქვს დაგეგმილი. რამდენადაც ვიცი, ჩვენთან ერთად აჩიკო ნიჭარაძე და ანსამბლი "თბილისიც" გამოვა, ასევე შესაძლებელია, იყოს ეკა კვალიაშვილიც.

თამარიკო ჭოსონელიძე: "მე ქალი დავკარგე ჩემი და ამას არავინ ვაპატიებ"

ბ-2 გვერდიდან

- თამარიკო, გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ქართულმა ოცნებამ" მაიორიტარ კანდიდატად დასახლება შემოგთავაზო, რატომ თქვით უარი?

- ასეთი ფაქტი ნამდვილად იყო. შემოთავაზეს მაიორიტარობა ჩოხატაურის რაიონში. ასეთი ნდობის გამოხატვა მართლაც დიდი პატივია ჩემთვის, მაგრამ მაშინვე ჩავთვალე, რომ ჩემი ადგილი იქ არ იყო. სწორედ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ჩემი საქართველო. ჩემნაირი ადამიანების პარლამენტში მოსვლამ ბევრი რამ გააფუჭა. ვიფიქრე, რომ ერთ-ერთი მათგანი ვიქნებოდი, რომელსაც იქ მხოლოდ ლილაკზე თითის დაჭერის ფუნქცია ექნებოდა. ვფიქრობ, რომ საქართველოს და ბიძინა ივანიშვილის ტვირთად არ უნდა ავკიდებოდით, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე ამ გუნდის პოლიტიკას არ ვიზიარებ, ან შემდგომში ჩემს სფეროსთან დაკავშირებით თუ რამ დასჭირდებათ, ერთგულ სამსახურს არ გავუწევ. ბიძინა ივანიშვილის ოჯახთან მირონი

მაკავშირებს - ბერას ნათლია ვარ და ვისაც ოდესმე რაიმე უნაშაო ღმერთის, იცის, რა წმინდა ცნებაა მირონი. ამიტომ, როცა ბერა გადის ხოლმე დიდი აუდიტორიის წინაშე, ხშირად ვარ მასთან. ლოცვა ნათლულთათვის ჩანთაში მიღევს და პირველს ვსახარებო, როგორც ნათლია. მწამს, რომ ჩემი პატარა ნილით ვაძლიერებ მას. მეტი არაფერი შემიძლია გავუკეთო, თუმცა კი ძალიან დიდი ნილი სიყვარული მოიპოვა ჩემი. კმაყოფილი ვარ, რომ ბერა არის ბიძინა ივანიშვილის დიდი ჯგუფის ერთ-ერთი სახე. ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდაა, თავმდაბალი, მოსიყვარულე და პატრიოტი. ეს უკვე საკმარისია იმისთვის, რომ ძალიან მომეწონოს გარემო, სადაც თუნდაც ბერა ტრიალებს. ესეც რომ არა, მოეწონებოდა ბიძინა ივანიშვილის პირველივე გამოსვლებით. ის ამბობდა იმას, რაც არც ერთი პოლიტიკოსისგან არ მომისმენია - ჩვენ ერთად უნდა ვოცოთ! ერთად უნდა ვიხდინოთ ქართული ოცნება! და ეს "ერთად" არ ნიშნავდა მხოლოდ კახი კალაძეს, ირაკლი ალასანიას და მისი გუნდის სხვა წევრებს, ამ "ჩვენ-

ში" ის მთელ საქართველოს გულისხმობს. მან თქვა, რომ "ჩვენი მოსვლა არ ნიშნავს სხვის გაგდებას". ის არ არის აგრესიული. არც კი ახსენებდა პრეზიდენტს. ამან გული ამიჩუყა. ის არავის გაგდებას, განადგურების ხარჯზე არ აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას. ამან იმედი ჩამისახა, იქნებ ხვალ მართლაც მოდის გუნდი, რომელიც თავის წინამორბედზე, თანამომღებზე შერს არ იძიებს და მართლა ღირსეულად იღვანებს თავისი ქვეყნის ნათელი გზისთვის.

- ნათელი გზისთვის ფონზე რამდენად ხშირად გაქვთ ურთიერთობა ბიძინა ივანიშვილის ოჯახთან?

- არც თუ ხშირად. ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ აქციებზე, შორიდან ვხვდებით. ერთხელ მცხეთაში მის აქციაზე ვიმღერე კიდევ. საერთოდ, ზედმეტი არაფერი მიყვარს.

- მუსიკალურად ბერას შენ დაანათლეთ თუ ბოლომდე ვერ დაიბრალდებ?

- (ელიმება) არა, ძალიან მუსიკალურია დედამისი - ეკა. კარგად ერკვევა მუსიკაში ბიძინაც. მაშინ, როცა ცოტა ურთიერთობდა ამ ოჯახთან, მე ხშირად

ესტუმრობდი მათ. მისსოვს, ბერა თავის უფროს ძმასთან, უტასთან ერთად თეთრ პერანგში გამოწყობილები შავი ბაფთით ყელზე როგორ მართავდნენ ოჯახურ კონცერტებს ვილინიოთ ხელში. ცოტა ხნის წინ ვკითხე კიდევ ბერას, თუ გახსოვს ვილინიოზე დაკვრა-მეთქი. - ახლად გაღვიძებული დავუკრავ, მაგრამ დიდი ხანია, აღარ დამიკრავსო, - მიპასუხა. ვამაყობ ბერათი და მიხარია, რომ ასეთი კეთილშობილი კაცი მოვლდინა საქართველოს. იმდენად ბევრი მაცდუნებელი პირობა აქვს, ფინანსური მხარე, ალიარება თანატოლებში, პოპულარობა, სხვა მის ადგილზე შეიძლება, გატუტუტებულყო, თავში ავარდნოდა, მაგრამ ისეთ ოჯახშია გაზრდილი, ზუსტად ვიცი, მას ეს არ დაემართება.

- საზოგადოებაში არის დესტაბილიზაციის შიში არჩევნების შემდგომ. თქვენც დაუთვალს მსგავსი განცდა და რაში ხედოთ გამოსავალი?

- მავანისა და მავანის თვალელები ქაოსსა და დაუოკებლობის სინდრომს ვხედავ. ეიფორიაში და ისტერიკაში ჩავარდნილი ადამიანი რას გააკეთებს, კაცმა არ

იცის. ამიტომ არეულობის მეც მეშინია. ერთმა მხარემ მაინც დიდი ძალა და ნიჭი უნდა გამოავლინოს. ერთმანეთს უნდა შეეხიდიოთ. არ მინდა, ხვალ და ზეგ ჩემი შეილების გარეთ გასვლის შემეშინდეს. მინდა, ყველამ გავიაროთ, რომ დღეს უფრო დიდი მტერი გვიყურებს და ერთმანეთს არ ვუმტროთ. სულხან-საბას გენიალური იგავი - "ძალა ერთობაშია", რომელშიც ისრების გადატეხის სიბრძნეა აღწერილი, იქნებ უფრო მაღალ კლასებში ასწავლონ ბავშვებს, მაშინ, როცა ადამიანის ცნობიერება მზად არის იმისთვის, რომ სწორად აიღიქვას. მე მაინც მგეჯობ, რომ დადგება დრო, როცა მთელი საქართველო ერთ მუშტად შეიკრება. თქვენი ჟურნალის საშუალებით, მინდა, ვუთხრა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც მიაჩნია, რომ მე სანაწილად დეგო მხარეს ვდგავარ მე ისინი ძალიან მიყვარს, ყველა მოყვარხართ, მიუხედავად ყველაფრისა. მოდით, ერთმანეთს ხშირად ვუთხრათ ეს სიტყვები - მე თქვენ მიყვარხართ!